ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 19 მაისი, 2020 №109 (8373) ფასი: 60 თეთრი

## სასამართლომ გიორგი რურუა პატიმრობაში დატოვა



გვ.5

# „ივანიშვილი პოზიციებს თუ არ შეცვლის, საკუთარ თავს გაწირავს“



გვ.3

დავით დარჩიაშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნა ქვეყანას დააზიანებს“



## „რურუას საკითხი, შესაძლოა, ვაჭრობის საგნად იქცეს“



გვ.3

არჩილ გამზარდია: „დასავლეთს საქართველოში კოალიციური მთავრობა უნდა“

## „ოცნება“ გვაშორებს დასავლეთს და მიგვაქანებს პუტინისკენ, მაგრამ ეს ვერ გამოუვა“



გვ.2

ლევან სამუშია: „სრულყოფილი მართლმსაჯულებისთვის საჭიროა ქირურგიული ჩარევა“

## მამუკა ტუსკაძე: „შეიძლება, პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოვითხოვოთ“



გვ.4

## ოკუპირებულ აფხაზეთში შეზღუდვების სასწრაფოდ გაუქმებას მოითხოვენ



გვ.4



გვ.2

## დეკანოზი შალვა კეკელია: „კორონავირუსის ვაქცინა სავალდებულო არ უნდა იყოს“

„მინდა გავიკეთებ, მინდა – არა“

## „ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ პარლამენტის თანხმობით“

გვ.2

ISSN 1987-9385

2 კალაძის მოადგილე სოფიო ხუნწარია გადადგა

5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 99 ფაქტი გამოავლინა

5 „ბესიკ ივანაშვილმა 11 წლის გოგონასთან გარყვნილი ქმედება ჩაიდინა“ მას წინასწარი პატიმრობა მიესაჯა

6 საფრანგეთში სკოლების გახსნის შემდეგ 70 მოსწავლე კოვიდ 19-ით დაინფიცირდა

# „ოცნება“ გვაშორებს დასავლეთს და მიგვაქანებს პუტინისკენ, მაგრამ ეს ვერ გამოუვა“

## ლევან სამუშია: „სრულყოფილი მართლმსაჯულებისთვის საჭიროა ქირურგიული ჩარევა“

იაგო ნაცვლიშვილი

**გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნული იყო გიორგი რურუას საქმე, რომელიც პოლიტპატიმრად არის მოხსენიებული, მათ შორის ზოგიერთი სენატორისა და ევროპარლამენტარის მხრიდან. მოსამართლემ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე და ის ისევ პატიმრობაში დატოვა.**



ამ საქმესა და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი და გიორგი რურუას ერთ-ერთი ადვოკატი **ლევან სამუშია** საუბრობს.

***– თავდაპირველად შეაფასეთ სასამართლოს გადაწყვეტილება გიორგი რურუას საქმესთან დაკავშირებით. თუ იყო მოსალოდნელი და რა ზომებს მიიღებთ?***

– გიორგი რურუას საქმეს რაც შეეხება, მის შესახებ ქვეყანაშიც ცნობილი იყო, რომ მის მიმართ პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებასთან გვაქვს საქმე და ამ მოტივით აღიძრა მის წინააღმდეგ საქმე. ამასთან, უკვე ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმაც აღიარეს ის პოლიტპატიმრად. შეიძლება ითქვას, უკვე ფაქტია, რომ ეს ადამიანი არის პოლიტპატიმარი. სასამართლოსა და ზოგადად ბრალდების მხარის გადაწყვეტილებას რაც შეეხება, ამაზე, ალბათ, მათ უნდა ჰკითხოთ ეს მოტივები. ფაქტი ერთია, რომ შეთანხმება ვერ იქნება შესრულებული. მხედველობაში მაქვს ის შეთანხმება, რომელიც ჩვენი დასავლელი მეგობრების მონაწილეობითა და მათი შუამავლობით მოხდა. ეს შეთანხმება იქამდე ვერ იქნება მიღწეული, სანამ გიორგი რურუა არ დატოვებს საპყრობილეს და არ გათავისუფლდება უკანონო პატიმრობიდან. ეს შემიძლია გითხრათ.

***– ვნახეთ, რომ გარკვეული ნაბიჯები დასავლეთის ზეწოლის შემდეგ გადაიდგა და პრეზიდენტმა ოქრუაშვილი და უგულავა შეიწყალა. დღეს კი ისევ ამგვარ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. რა პოლიტიკურ თამაშშია ჩართული „ოცნება“?***

– „ქართული ოცნება“ არის გამოუვალ მდგომარეობაში, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეებმა მას უკვე გამოუტანეს განაჩენი და ეს განაჩენი გაფორმდება საპარლამენტო არჩევნებზე. აქედან გამომდინარე, ის ქაოსურად მოქმედებს.

ფაქტი ერთია, რომ მათ ქვეყანას უკვე ძალიან სერიოზულად შეულახეს იმიჯი. საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში არ მახსენდება შემთხვევა, რომ ასეთი მაღალი ტრიბუნიდან ჩვენს დასავლელ მეგობრებსა და პარტნიორებს ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების შესახებ ღიად გაეკეთებინათ განცხადება. ეს ცუდია არა მხოლოდ „ქართული ოცნებისთვის“, არამედ მთელი ქვეყნისთვის და ეს მაღელვებს, თორემ, „ოცნების“ საქმე როგორ იქნება, ნაკლებად მაინტერესებს.

„ქართულმა ოცნებამ“ მიაღწია იმას, რომ თავისი ქმედებებით მიზანმიმართულად გვაშორებს დასავლურ ვექტორს და მიგვაქანებს ჩრდილოეთის ვექტორისკენ – პუტინისკენ. ეს არის მისი ქმედებების მიზანი, მაგრამ ეს მიუღწეველ მიზნად დარჩება, ამაში დარწმუნებული ვარ.

***– რურუასთან დაკავშირებით ქაოტური გადაწყვეტილებები ახსენეთ, მაგრამ ამ საქმეშიც ხომ არ დაინახეთ რუსეთის ინტერესები და ამით ხომ არ არის განპირობებული ბიძინა ივანიშვილის ქმედება ამ საქმის ნაწილშიც?***

– როგორც გითხარით, „ქართული ოცნების“ პოლიტიკა სწორედ რუსეთის პოლიტიკის ინტერესებისკენ სავალი გზაა. ამის მიღწევა უნდათ „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს. სენატორებისა და კონგრესმენების წერილში ღიად არის საუბარი, რომ „ოცნება“ რუსულ თამაშს თამაშობს. ეს არის ერთი საკითხი, მეორეა ის, რომ ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ასევე რუსული ინტერესების გატარება მოხდა. შემდეგ აღნიშნულია ისიც, რომ ამერიკის მტრული სახელმწიფოების ინტერესებს ატარებს და ასევე უდიდესი ბრალდებაა შავი ფულის გარეცხვა საქართველოში, ირანთან კავშირში და გარკვეულწილად კონკრეტული ფაქტები იყო მოყვანილი მტკიცებულებების სახით. ამაზე უმძიმესი ბრალდება, ნათელი დადასტურება იმისა, რომ „ქართული ოცნება“ რუსულ თამაშს თამაშობს, სხვა რა შეიძლება იყოს?!

***– უკრაინასთან მიმართებით გაჟღერებული პოლიტიკაც ამით უნდა აიხსნას?***

– ზოგადად, ყველანაირი პოლიტიკა ასეთია. ხედავთ, რომ დღითიდღე ვშორდებით დასავლურ ღირებულებებს. „ქართული ოცნება“ თავისი პოლიტიკით დღითიდღე დისტანცირებას აკეთებს დასავლეთისგან და მიემართება პუტინისკენ.

მას ეს სურვილიც აქვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასავლეთმა თქვას ჩვენზე უარი და თქვას, რომ თქვენგან არაფერი გამოვა. მაგრამ ეს არ გამოუვათ. დასავლეთი არის ჩვენი ქვეყნის პარტნიორი. მას დიდი შრომა აქვს ჩადებული საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში, როგორც აშშ-ს, ისე ევროპას. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ სურვილს ასრულება არ უწერია.

***– რურუას საქმეს მივუბრუნდეთ. ოპოზიცია ცალსახად ამბობთ, რომ თუ არ გაათავისუფლებენ რურუას, არ დაიწყება პროცესი საკონსტიტუციო ცვლილებების ნაწილში?***

– თუ არსებობენ ერთეული პარტიები თუ პოლიტიკოსები, რომლებსაც განსხვავებული ხედვა აქვთ, ნამდვილად არ ვიცი. ეს პოზიცია გაცხადებულია და, ვინ რა პოზიციაზეა, ყველასთვის ცნობილია.

ცალსახად შემიძლია ერთი რამის თქმა, რომ იშვიათია ისეთი საქმე, სადაც სიყალბე ზედაპირზევე დევს, ისე, როგორც ამ საქმეში. პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა პოლიციის თანამშრომელი და უკვე თავიდან ბოლომდე ნათელია, რომ ეს საქმე არის გაყალბებული.

***– სასამართლოს მიმართულებით რა ნაბიჯები გადაიდგმება?***

– დაცვის მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია, დააყენოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე. შეზღუდული არ ვართ ამაში, მაგრამ მთავარია პოლიტიკური ნება. ის, რომ სახელმწიფო და „ქართული ოცნება“ არ ერევა სასამართლოსა და პროკურატურის საქმეებში, ეს, უბრალოდ, ზღაპარია. აქ ითხოვენ იმას, რომ როგორც მოხდა პოლიტიკური დაპატიმრება, ასევე მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება და ეს ადამიანი გაათავისუფლონ.

***– ანუ მოსამართლე ელოდება მითითებას პოლიტიკური ხელისუფლებისგან?***

– მე არ ვიცი, ვინ რას ელოდება. მთავარი ის არის, რომ პოლიტპატიმარი, რომელიც ქვეყანაში გვყავს, იმყოფება ციხეში. ეს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არის აღიარებული და არ ათავისუფლებენ ამ ადამიანს. ხელისუფლებაზე რომ არის დამოკიდებული სასამართლო, პროკურატურა... მოშლილი რომ არის ეს სისტემა, ჩემთვის ახალი ფაქტი ნამდვილად არ არის. სამწუხაროდ, ვერც ერთ ეტაპზე, ვერც ერთი ხელისუფლების ეტაპზე ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ქვეყანაში იყოს დეპოლიტიზაციის ნიშნები. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ეს უნდა ვაღიაროთ.

***– სასამართლო რეფორმა ნულიდან არის დასაწყები თუ არის რაღაც, რაც შეიძლება დარჩეს?***

– სასამართლო რეფორმის თვალსაზრისით ადრე შესაძლებელი იყო, თერაპიული მეთოდებით წინ გადადგმული ნაბიჯები ყოფილიყო, მაგრამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ იმ დონეზე მიიყვანა სასამართლო სისტემა, რომ იმის თქმაც კი არ შეიძლება, რომ სასამართლო არსებობს. აქედან გამომდინარე, ქირურგიული ჩარევები იქნება საჭირო საკანონმდებლო დონეზე იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანაში გვქონდეს სრულყოფილი მართლმსაჯულება.

***– ანუ რა სისტემაც იყო სააკაშვილის მმართველობის დროს, „ოცნების“ ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტად გამოშიგნა?***

– წინა ხელისუფლების დროს ეს მოსამართლეები უვადოდ არ იყვნენ გამწესებული, ახლა კი ყველანი უვადოდ არიან. თქვენმა მკითხველმა განსაჯოს, რა უბედურებასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში.

---

# დეკანოზი შალვა კეკელია: „კორონავირუსის ვაქცინა სავალდებულო არ უნდა იყოს“

## „მინდა გავიკეთებ, მინდა – არა“



დეკანოზ შალვა კეკელიას განცხადებით, თუ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია სავალდებულო იქნება და მასზე უარის თქმის შემთხვევაში, საზღვარგარეთ მოგზაურობას ან დასაქმებას აკრძალავენ, ის მას არ გაიკეთებს.

როგორც მამა შალვა კეკელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მსგავსი პირობებით ვაქცინაცია ადამიანების საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული.

– თქვენ ჟურნალისტები ხართ და შეგიძლიათ მოიკითხოთ, რამდენი ადამიანი დაიღუპა შარშან ღორის გრიპით. როდესაც არ იციან ამ სენის შესახებ, რა სენია, რატომ უნდა იყოს აუცილებელი და სავალდებულო, ეს ვაქცინა გავიკეთოთ?! შეიძლება როგორ დადგეს საკითხი იცით? – თუ ეს ვაქცინა არა გაქვს გაკეთებული, შეიძლება შენ მოგზაურობის უფლება არ გქონდეს, სამსახურში შეიძლება არ მიგიღონ.

ეს ნიშნავს უკვე, რომ ვაქცინა კი არ არის, სხვა რამისკენაა მიმართული. თუ ასეთი მიდგომა იქნება ვაქცინასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ჩვენ მას არ გავიკეთებთ. ადამიანებს ყველას თავისი არჩევანი აქვს და ყველას შეუძლია გადაწყვიტოს, მიიღებენ თუ არ მიიღებენ.

მე, როგორც მოძღვარი და სასულიერო პირი ვამბობ, თუ ამ ვაქცინის გარეშე არ მექნება უფლება, სამსახურში ვიარო, უცხოეთში ვერ ვიმოგზაურებ, სკოლაში ჩემს შვილს ვერ მივიყვან, პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ ეს ვაქცინა არის ერთ-ერთი ნიშანი და ეს ვაქცინა არის ადამიანების საწინააღმდეგოდ მომართული.

ღორის გრიპით ადამიანები იღუპებიან, მაგრამ ვაქცინა სავალდებულო არ იყო, მინდა გავიკეთებ, მინდა არ გავიკეთებ, – განაცხადა მამა შალვა კეკელიამ.

---

# „ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ პარლამენტის თანხმობით“



მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებს, რის მიხედვითაც, შესაძლოა, საგანგებო მდგომარეობის მთელ ქვეყანაში გამოცხადების გარეშე ხელისუფლებამ მკაცრი რეჟიმი კონკრეტულ ლოკაციებზე ინდივიდუალურად დააწესოს, ოპოზიცია ეხმაურება.

მმართველი გუნდის ოპონენტები ცვლილებებს ეწინააღმდეგებიან.

ისინი შიშობენ, რომ დამატებით ძალაუფლებას ხელისუფლება საკუთარი ინტერესების მიხედვით გამოიყენებს.

– ხელისუფლებას ყოველთვის შეუძლია, ლოკალურად განახორციელოს გარკვეული ღონისძიებები, ეს იქნება საზოგადოებრივი ჯანდაცვის თუ წესრიგის, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე.

მე არ მიმაჩნია სწორად, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს საპარლამენტო კონტროლის გარეშე და პარლამენტის ნებართვის გარეშე, როგორც არ უნდა იყოს ეს. რადგან ასეთ შემთხვევაში არის ძალიან დიდი საფრთხე, რომ შესაძლებელია, ხელისუფლებამ ეს გამოიყენოს სხვადასხვა მიზნისთვის, – განაცხადა „ევროპული საქართველოს“ წევრმა გიგი წერეთელმა.

– ნებისმიერი მსგავსი შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. მთავრობისთვის რამე უფლებების მინიჭება წარმოშობს რისკებს და ყოველთვის შეიძლება ბოროტად იქნას გამოყენებული როგორც პოლიტიკური, ასევე – სხვა მიზნებისათვის. დღევანდელი კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ იძლევა საშუალებას, რომ ლოკალურად მოხდეს იზოლირება რომელიმე რაიონისა. ნებისმიერი მანიპულაცია ასეთი მთავრობის ხელში შეიძლება მთავრობის საწინააღმდეგოდაც იქნეს გამოყენებული, – აღნიშნა ნაციონალური მოძრაობის წევრმა რომან გოცირიძემ.



---

# კალაძის მოადგილე სოფიო ხუნწარია გადადგა



თბილისის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია გადადგა.

ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა:

„ძალიან ბევრი მირეკავს, მწერს და ათას ვერსიას ვისმენ. მეგობრებო, ხდება ხოლმე ასეც, როდესაც პირადი განცხადების საფუძველზე მიდიან ადამიანები თანამდებობიდან და სხვა რაიმე აპოკალიპტური ფონი არ არსებობს. კოლეგებს ბოდიში, რომ მათ ზარებს არ ვპასუხობ (ჟურნალისტებს ვგულისხმობ), მაგრამ, გთხოვთ, რიგი ვერსიების შეთხზვისგან თავი შეიკავოთ. უხერხულია.

მე ჩემი პირადი განცხადების საფუძველზე ვტოვებ თანამდებობას, ჩემი პირადი მიზეზების გამო. არ მომწონს, როცა ჩამონათვალს აკეთებენ და წუწუნს იწყებენ რიგ საკითხებზე. ვბრუნდები იქ, საიდანაც მოვედი. „არტარეაში“ დღეს ჩემი ყოფნა დარგის განვითარებისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

აქვე გეტყვით, რომ ორწელიწად– ნახევრის მანძილზე ჩვენ ყველამ ერთად ძალიან ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ.

მადლობა კახის, რომ მომცა ამის შესაძლებლობა და რომ გვერდში მედგა საქმეში. მადლობა ჩემს საყვარელ მოადგილეებს, ირაკლებს, მაიკოს და ილიას. ჩემს გუნდს, რომელიც ყველაზე კომფორტული იყო და შეუძლებელიც შევძელით ერთად.

ჩემთვის ეს წლები დაუვიწყარი იქნება და იმ ძირითად სფეროს, რომელსაც ვკურირებდი, არ ვუღალატებ“.

კახა კალაძემ მერის მოადგილის თანამდებობიდან სოფო ხუნწარიას წასვლის შესახებ ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა.

სოფიო ხუნწარიამ თბილისის მერის მოადგილის თანამდებობა 2018 წლის იანვარში დაიკავა.

მანამდე ის თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი იყო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რურუას საკითხი, შესაძლოა, ვაჭრობის საგნად იქცეს“

## არჩილ გამზარდია: „დასავლეთს საქართველოში კოალიციური მთავრობა უნდა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია პასუხობს.**

***– არჩილ, ოპოზიციის ულტიმატუმი შესრულდა, გაათავისუფლეს უგულავა და ოქრუაშვილი, თუმცა რურუა კვლავ პატიმრობაში რჩება. ოპოზიცია მის გათავისუფლებასაც ითხოვს. ეს როგორ რეაგირებას მოახდენს ოპოზიციის გადაწყვეტილებაზე?***

– თუ რურუასთან მიმართებით იგივე მხარდაჭერა არსებობს, რაც ამ ორი პირის შემთხვევაში არსებობდა, მაშინ ოპოზიცია ამას მკვეთრად გამოხატავს და ბოლოს პრეზიდენტი მასაც გაათავისუფლებს. მე არც ველოდი, რომ რურუას სასამართლო დარბაზიდან გაუშვებდნენ.

***– მიუსჯიან ჯერ და მერე პრეზიდენტი შეიწყალებს?***

– ალბათ, ასე იქნება და, ალბათ, ხელისუფლება იმავე რიტორიკას გააგრძელებს.

***– რომ არაფერ შუაშია და პრეზიდენტმა შეიწყალა?***

– კი, ასე იქნება.

***– ამის ვის სჯერა?***

– არავის სჯერა, მაგრამ ეს პრინციპი აირჩია ხელისუფლებამ და ამ პრინციპის ფარგლებში მოქმედებს. დანარჩენი უკვე საზოგადოებრივი განწყობებია.

***– ეს ყოველივე სირაქლემის პოზას ხომ არ ჰგავს?***

– ხელისუფლება იმდენად ხშირად დგას სირაქლემის პოზაში, რომ ერთით მეტი იქნება თუ ერთით ნაკლები, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება. ხელისუფლებას მაინც სჭირდება თავის ამომრჩეველთან იმ ტიპის რიტორიკა, რომ აი, ჩვენ არ ვათავისუფლებთ.

***– იმიტომ ხომ არ დატოვეს რურუა პატიმრობაში, რომ კიდევ უფრო მეტი გულისწყრომა არ დაემსახურებინათ?***

– არა, აქ ასეთი შუალედური რაღაცები არ არსებობს. რურუას მიმართ საზოგადოების უარყოფითი განწყობა არ არის ისეთი მკვეთრი, როგორიც თუნდაც უგულავასა და ოქრუაშვილის მიმართ იყო. უბრალოდ, „ოცნებამ“ ასეთი პრინციპი შემოგვთავაზა, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში სასამართლოს ფარგლებში კი არ ხდება ეს ყველაფერი, არამედ პრეზიდენტი აკეთებს ამას შეწყალების დონეზე და აქაც იგივე პრინციპი უნდა შესრულდეს. მე არ გამოვრიცხავ, რომ რურუას თემა პოლიტიკური ვაჭრობის საგნად იქცეს.

***– რას გულისხმობთ?***

– როგორც მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობა იქცა ვაჭრობის საგნად, ზუსტად ისე მოხდეს, რომ სამს ითხოვდით, მაგრამ ორი გამოვუშვით. თუმცა მე მაინც მგონია, რომ იმავე არგუმენტით მას პრეზიდენტი შეიწყალებს.

***– რას იტყვით დასავლეთის როლზე, მის ზეწოლაზე, რამდენად აქვთ მათ მიზნად დასახული საქართველოში ხელისუფლების ცვლილება?***

– დასავლეთის ამოცანა დღეს საქართველოში ხელისუფლების ცვლილება ნაკლებად არის, იმიტომ რომ, როგორც ყველამ ვნახეთ, მათ შორის დასავლეთმაც, ჩვენთან ხელისუფლების ცვლილებას ჯერჯერობით პოზიტიური შედეგი არ მოუტანია დემოკრატიის გაძლიერების თვალსაზრისით.

***– დღეს რა არის მისი მიზანი?***

– პოლიტიკური ძალების იძულება გარკვეულ კომპრომისზე, ერთმანეთთან დიალოგის ხელის შეწყობა, იქნებ მოხერხდეს კოალიციური მთავრობა, რომ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ჰქონდეს არანორმალური ძალაუფლება სახელმწიფოში, რადგან ეს ვერ ამართლებს.

***– კოალიციური მთავრობა რამდენად გაამართლებს?***

– ეს კიდევ ცალკე თემაა, მაგრამ ამ წუთისთვის ამაზე უკეთესი არჩევანი პრაქტიკულად არ არსებობს. ამიტომ დასავლეთი ცდილობს წინასწარვე იმის ხელშეწყობას, რომ თუკი ეს კოალიცია მოხერხდება, მერე ერთმანეთთან დიალოგის საშუალება ჰქონდეთ. იმიტომ დასვა დღეს დიალოგზე ეს პოლიტიკური მტრები და, საერთო ჯამში, პრეცედენტი მოხდა, რომ ხელისუფლებამ, ოპოზიციასთან ერთად, რაღაცა გადაწყვეტილება მიიღო ანუ შეთანხმდნენ.

თუ შეთანხმება არ იქნება, კოალიციური ხელისუფლება იქნება დამღუპველი საქართველოსთვის.

***– ფიქრობთ, რომ 120/30-ზე კარგად იმუშავებს და, შესაძლოა, კოალიციური მთავრობა მივიღოთ?***

– 120/30-ზე, შესაძლოა, არ მუშაობდეს კარგად, მაგრამ ამ წუთას უკეთესი არჩევანი არ გვაქვს. დღეს საუბარი იმაზეა, რომ იქნებ „ოცნებამ“ ვერ შეძლოს უმრავლესობის შექმნა, თორემ, შესაძლოა, „ქართული ოცნება“ კვლავ დომინანტი იყოს, მაგრამ მთავარია, ძალაუფლება მარტო



მას არ ჰქონდეს ხელში და ვერ შექმნას ვერც საპარლამენტო უმრავლესობა და ვერც მთავრობა დააკომპლექტოს.

***– რა პროცესები წავა ოპოზიციურ ველზე? გვესმის შეფასებები, რომ ამჟამად გიგა ბოკერიას ლიდერად ქცევის პროცესი მიმდინარეობს. არც იმას გამორიცხავენ, რომ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაც გახდეს მომავალ ხელისუფლებაში. რას იტყვით თქვენ?***

– მე არ ვიცი, ეს რამდენად ეფექტური იქნება, იმიტომ, რომ გიგა ბოკერია პირდაპირი ხელისუფალი არ ყოფილა, თორემ, ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნის დროს ის ერთ-ერთი ლიდერი იყო, შესაძლოა, ისეთი არა, როგორიც სააკაშვილი, ბურჯანაძე და ჟვანია, მაგრამ ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი იყო.

***– დღეს ბევრს საუბრობენ მის კავშირებზე დასავლეთთან.***

– აქ მხოლოდ დასავლეთი არ არის გადამწყვეტი. საზოგადოება გააკეთებს თუ არა მასზე არჩევანს და ექნება თუ არა მას მხარდაჭერა, ამაზე პასუხი ძალიან გამიჭირდება.

წინა ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა გადასულიყვნენ ჩრდილოვანი მმართველების რეჟიმში და ახალი სახეები უნდა შეექმნათ. ყველა ის სახე, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს იყო აქტუალური, არამომგებიანია დღეს.

***– ახალი შეფუთვით უნდა წარდგენილიყვნენ?***

– კი, ასეა. ამ ხალხს აქვს გამოცდილება, რაც პოლიტიკური პარტიის ჩრდილოვან მართვაში დაეხმარება, მაგრამ მათ მიმართ მკვეთრი პოზიციები არსებობს საზოგადოებაში.

***– როგორც პოლიტიკური სახეები, არაპოპულარულები არიან?***

– დიახ და თან ჩამოყალიბებული პოზიციებია მათ მიმართ. სწორედ ამიტომ იყო საჭირო ახალი სახეები, თუმცა ოპოზიციურმა ლიდერებმა ეს არ გააკეთეს, კვლავ თვითონ დარჩნენ პოლიტიკურ ავანსცენაზე და ახალი სახეების ლიდერებად ქცევას მაქსიმალურად ხელს უშლიან.

***– ამ კუთხით რა იქნება „ქართულ ოცნებაში“ და რა სვლებს გააკეთებს ბიძინა ივანიშვილი ოქტომბრის არჩევნებისთვის?***

– „ქართულ ოცნებას“ აქვს ორადორი რესურსი – ძალაუფლება და ფინანსები. სხვა რესურსი დღეს „ქართულ ოცნებას“ არ აქვს. ამიტომაც ვერანაირი გადახალისება მათ ელექტორატს ვერ გაუზრდის. ე.წ. ახალმა სახეებმა რაც დამართეს „ოცნებას“, ყველამ ვნახეთ. „ქართული ოცნება“ უფრო და უფრო უარესი გახდა, მათ შორის, ადამიანური რესურსების კუთხითაც.

***– რამდენად დადგება არჩევნების გადადების საკითხი?***

– ხელისუფლებას აქვს რამდენიმე ტიპის დილემა და, ალბათ, იმის მიხედვით მიიღებს გადაწყვეტილებას. თუ ჯანდაცვის პოზიტიური ეფექტი იქნება უფრო მაღალი, ვიდრე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, მაშინ ხელისუფლება არჩევნებს ჩაატარებს რაც შეიძლება დროულად, ხოლო თუკი სოციალურ-ეკონომიკური ნეგატიური ფონი უფრო მაღალი იქნება, მაშინ ხელისუფლებას ექნება სურვილი, კიდევ გაიხანგრძლივოს პროცესი და არ დაკარგოს ხელისუფლებაში ყოფნის შანსი.

ხელისუფლება ამ შემთხვევაში შეეცდება, გამოიყენოს ყველა ბერკეტი, გამოაცხადოს ისევ საგანგებო მდგომარეობა და ტოტალიტარული რეჟიმი დაამყაროს. თუმცა ამ შემთხვევაში აქ არის ერთი მომენტი.

***– რომელი?***

– თუკი კორონავირუსის პირველ ტალღაზე მოსახლეობამ მიიღო საგანგებო მდგომარეობაც, ეს აკრძალვებიც და სხვა ყველაფერიც, ამის დაბრუნება ასე მარტივი არ იქნება. შესაძლოა, რაღაც მომენტში გაწყდეს საზოგადოებრივი ნებისყოფა და მოთმინება და აფეთქდეს სიტუაცია.

ამიტომ ხელისუფლება მშვიდად ვერ იქნება.

# „ივანიშვილი პოზიციებს თუ არ შეცვლის, საკუთარ თავს გაწირავს“

## დავით დარჩიაშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნა ქვეყანას დააზიანებს“

ნათია ხურცილავა

**„ევროპული საქართველოს“ წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო დავით, თქვენ მაინც რას უკავშირებთ ხელისუფლების, ბიძინა ივანიშვილის უკანდახევას?***

– როგორც ჩანს, მაინც გავლენა სანქციების შიშმა იქონია, რომლებზეც საერთაშორისო საზოგადოებამ უკვე ღიად დაიწყო საუბარი. ან დასავლეთი, ან ევრაზიული კავშირი – ახლა ამ არჩევანის წინაშე დგას ივანიშვილი. რა ვითარებაც შექმნეს, ეს მთლიანად მათი პასუხისმგებლობაა, დანარჩენი გამოჩნდება.

***– ეგონათ, დასავლეთი წაუყრუებდა?***

– რა თქმა უნდა, თუმცა მთავარი მაინც ის მგონია, რომ მას პოლიტიკა ომად მიაჩნია, ზოგადად, ოპონენტი მტრად მიაჩნია, რომელიც უნდა გაანადგუროს, პოლიტიკა, როგორც კომპრომისების ხელოვნება, არ ესმის. პოლიტიკის ეს გაგება სრულიად იგნორირებულია.

ზოგადად, კომპრომისი სისუსტე ჰგონიათ. არადა, ასე სულაც არ არის. მეტიც, ვინც ასე უყურებს პოლიტიკას, ძალიან ცუდად ამთავრებს. სამწუხაროდ, ამ დროს დასასრული ყოველთვის ტრაგიკულია. როგორც ჩანს, ხელისუფლება ამ გზას დაადგა. ეს მისთვის ძალიან მძიმე იქნება. სამწუხაროდ, შეიძლება, ქვეყნისთვისაც კარგი არ იყოს.

***– ოპოზიციას როგორ შეაფასებდით?***

– ოპოზიციის პოზიცია ძალიან ნათელია. ახლა მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზეა. თუ როგორ არჩევნებს ჩაატარებს ის, ამაზე იქნება დამოკიდებული, როგორი იქნება შემდეგი პერიოდი.

***– 2012 წელს, როდესაც წინა ხელისუფლებამ არჩევნები წააგო, ითქვა, რომ სააკაშვილს დიდად არ ეთმობოდა ძალაუფლება, მაგრამ მან დასავლეთს გაუწია ანგარიში, შეიძლება, რეკომენდაციებიც კი მიიღო. „ქართულ ოცნებას“ უფრო გაუჭირდება წაგების აღიარება?***

– დასავლეთის, საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ის მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების განწყობებს მისდევს. როდესაც საზოგადოებაში არის ცვლილების განწყობა, ამ დროს დასავლეთი ძალიან აქტიურდება. დემოკრატია სხვანაირად არ არსებობს, სხვანაირად არ შენდება. თუ ხალხის ნდობა შენდამი არ არის, იქ ძალა არ უნდა გამოიყენო. ამის სადარაჯოზე დგას დასავლეთი.

ახლაც თითქოს ამგვარ რაღაცას ვუყურებთ, მაგრამ, ვნახოთ, როგორ მოიქცევა ხელისუფლება. შევარდნაძეს ეყო პოლიტიკური ალღო, რომ შეცვლილი რეალობისთვის ანგარიში გაეწია. მართალია, თავიდანვე არა, მაგრამ პროცესები როდესაც ქუჩაში გადავიდა, ეს ალღო მას ეყო.

რის ალღო ეყოფა ივანიშვილს, ვერ გეტყვით. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ შევარდნაძე სერიოზული პოლიტიკოსი იყო. ივანიშვილი, ფაქტობრივად, მოსულია არაკეთილსინდისიერი ბიზნესიდან. ლოგიკაც მაინცდამაინც არ აქვს სათანადოდ განვითარებული.



ამიტომ, მიჭირს ვთქვა, როდის რა ნაბიჯს გადადგამს. შეიძლება, გარემოცვა იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი.

***– რას გულისხმობთ?***

– ბოლომდე ჩაჰყვება პოლიტიკურ სამარეში თუ დროზე მოვა გონს.

***– წარმოგიდგენიათ, რომ გარემოცვამ დატოვოს?***

– ნოემბერში, პირველი „გადაგდების“ დროს, როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებები ჩავარდა, ვისაც კი რამე გაეგებოდა საერთაშორისო ურთიერთობების, დემოკრატიის პრინციპების, ეს კაცი ყველამ დატოვა. მხოლოდ სრული მედროვეები დარჩნენ. ამ მედროვეებშიც, მგონია, რომ ვილაცებს კიდევ აქვთ გამოცდილება და ალღო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკაში. ვილაცებს, შეიძლება, ეს უნარები საერთოდ არ აქვთ. ვნახოთ.

***– მაინც თუ ჩავარდა ცვლილებები, როგორ შეიძლება, პროცესები განვითარდეს?***

– თუ არჩევნები მოქმედი საარჩევნო სისტემით ჩატარდა, მაშინ ძალიან მნიშვნელოვნად იქნება შედეგების შეფასება დამოკიდებული ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დასავლეთზე. ხელისუფლების შეფასებებს უკვე დასავლეთის თვალში ფასი დაეკარგა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სხვა მოთამაშეების შეფასებები, მათ შორის, არასამთავრობო სექტორის. შეიძლება, მათი შეფასება გადამწყვეტიც კი იყოს, რათა არჩევნები ან იყოს აღიარებული, ან – არა.

ამიტომ ამ ცვლილებების ჩავარდნა პარლამენტში არ იქნება ქვეყნისთვის კარგი. პროცესები ბევრად უფრო არასტაბილური იქნება.

თუ საქმე მაინც სანქციებამდე მივიდა, ეს უკვე დამაზიანებელი იქნება ზოგადად ქვეყნისთვის. რა თქმა უნდა, პირადად ივანიშვილს ბევრი აქვს დასაკარგი. თუ ის პრინციპებს, დამოკიდებულებებს არ შეცვლის, ეს ნიშნავს, რომ საკუთარ თავსაც გაწირავს.

# 20 მაისიდან საქართველოს მოქალაქეებს თურქეთში სამკურნალოდ წასვლა შეეძლებათ

თურქეთში საქართველოს ელჩის, გიორგი ჯანჯღავას, ინფორმაციით, 20 მაისიდან თურქეთში სამკურნალოდ წამსვლელი საქართველოს მოქალაქეებისთვის შეზღუდვები იხსნება.

„თურქეთის ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, 20 მაისიდან ქვეყანაში სამკურნალოდ შემოსული პაციენტებისთვის მოიხსნება პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები, რომელიც შეეხება 31 სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებს.

თურქეთის ჯანდაცვის სამინისტრომ დაადგინა შესაბამისი რეგულაციები ქვეყანაში შემოსასვლელად, საავადმყოფოში მისაღებად, სამკურნალოდ და იზოლაციის უზრუნველსაყოფად. ასევე თურქეთის ჯანდაცვის უწყება განსაზღვრავს სამკურნალოდ შემოსულ ადამიანთან ერთად თანმხლები პირების მიმართ დადგენილ რეგულაციებს/ნორმებს“ – წერს ელჩი გიორგი ჯანჯღავა სოციალურ ქსელში.

# მამუკა ტუსკაძე: „შეიძლება, პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოვითხოვოთ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**



***– ბატონო მამუკა, პრეზიდენტის მიერ ორი პატიმრის, უგულავასა და ოქრუაშვილის შეწყალებას სოციალურ ქსელში ბევრი უარყოფითი კომენტარი მოჰყვა. ხალხი უკმაყოფილოა. თქვენ როგორ შეხვდით ამ ფაქტს?***

– უფლებადამცველი ვარ და ნებისმიერი მსჯავრდებულის გათავისუფლება სიამოვნებასაც მგვრის და წარმატებად მიმაჩნია, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ ვიქნები ასეთი, რადგან აქ საქმე გვაქვს პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან.

არ შეიძლება პრეზიდენტის ეს დისკრეციული უფლება გამოყენებული იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის, მით უმეტეს. რომ ქვეყნის გარედან იყო ნაკარნახევი. ამიტომ რამდენიმე პოლიტიკური ძალა, არასამთავრობო ორგანიზაცია და უფლებადამცველები აქციის გამართვასაც კი ვფიქრობთ, სადაც დავსვამთ კითხვას, 26 მაისს რომ აღვნიშნავთ, ნამდვილად ვართ კი დამოუკიდებლები?

***– ამ კითხვას რატომ სვამთ?***

– ამ კითხვას ვსვამთ, რადგან ის გადაწყვეტილება, რაც სალომე ზურაბიშვილმა მიიღო, იყო პირდაპირი დავალება და ზეწოლა, არა საქართველოს ხელისუფლების, არა საქართველოს მოსახლეობისა და არა ქართული ძალების მხრიდან.

შეიძლება ვიღაცას საქართველოსთვის სიკეთე უნდა. იმის თქმა არ მინდა, რომ ევროპელი პარლამენტარები საქართველოს მიმართ ცუდად არიან განწყობილი. შეიძლება საქართველოს მიმართ მათი განწყობა დადებითია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათი ქმედება იყო უადგილო, ზედმეტი, საქართველოს საქმეებში პირდაპირი ჩარევის ნუმუში და მაგალითი.

ამ ჩარევით, მათ სალომე ზურაბიშვილის (მე მას ხშირად ვიცავდი) უსუსურობა კარგად გამოიყენეს, რათა ასეთ გადაწყვეტილებაზე ხელი მოეწერა.

***– მგონი, ეს გადაწყვეტილება თვითონ „ოცნებელებსაც“ გაუკვირდათ. როგორც ჩანს, პირველ დონეებზე კულისებში ძალიან დიდი ზეწოლა განხორციელდა.***

– დიახ, უდიდესი ზეწოლა განხორციელდა. ევროპელებმა ეს სალომეს ხელით გააკეთეს. რა ზეწოლაც იყო პრესითა და ტელევიზიით, ისიც საკმარისია, მაგრამ კულისებში საშინელება ხდებოდა. არა მარტო ზარებით, წერილებითა და მუქარით სანქციებთან დაკავშირებით, არამედ ყველა საშუალებით. ევროპარლამენტის ერთ-ერთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ნაცმოძრაობასა და ევრონაცებთან, მხოლოდ ომი არ გამოუცხადებია, დანარჩენი ყველაფერი გააკეთა.

დღეს რურუაც შეიძლება გათავისუფლდეს. თუ რურუა სასამართლოს მეშვეობით გათავისუფლდება, ეს არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სასამართლო ხელისუფლებაში, მართლმსაჯულებაში ჩარევა იქნება, რაც უფრო უარესია, ვიდრე გასამართლების შემდეგ პირის შეწყალება. ჯერჯერობით, მხოლოდ პოლიტიკურად ჩაერივნენ ევროპარლამენტარები, რაც არის საქართველოს კრახი.

***– კრახი?***

– დიახ, პრეზიდენტი მათი გავლენის ქვეშ არ უნდა მოქცეულიყო. თუ დღეს რურუა გათავისუფლდა, თუნდაც ალმკვეთი ღონისძიების შეცვლის გზით, ეს იქნება მართლმსაჯულებაში გარედან ჩარევა.



***– თუ რურუას შემთხვევაში სასამართლო დამოუკიდებლად იმოქმედებს და ისე შეუცვლის აღმკვეთ ღონისძიებას?***

– თუ სასამართლო დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას, კი ბატონო, მაგრამ უფლებადამცველებს წინა სხდომებზე დაყენებული ჰქონდათ რურუას მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გირაოთი შეცვლის საკითხი, მაგრამ არც ერთხელ არ დაკმაყოფილდა. თუ დღეს უფლებადამცველები ამ საკითხს დააყენებენ და დაკმაყოფილდება, ეს იმას ნიშნავს, პოლიტიკურ მართლმსაჯულებასთან გვაქვს საქმე.

***– რურუას უჩივის თოიძეების ოჯახი. ამ მკვლელობის შესახებ წლების განმავლობაში საუბრობდნენ. ახლა იმ ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს და, მგონი, ამერიკის მოქალაქეა, რურუას უჩივის. ასევე დახმარებისთვის ამერიკის მთავრობას მიმართავს. ამაზე საქართველოს პროკურატურაში საქმეც ყოფილა აღძრული. შეიძლება ეს საქმე არ გაითვალისწინონ და რურუა მაინც გაათავისუფლონ?***

– არ გაითვალისწინებენ, რადგან რურუას წინააღმდეგ ახლა კიდევ ახალი საქმის აღძვრა კი არა, რა საქმეც არის აღძრული, იმის დახურვაზე მუშაობენ დღევანდელი ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც ნათელაშვილის ოფისში იკრიბება და დღევანდელი მთავრობა (საქართველოს მთავრობას არ ვგულისხმობ), რომელიც საქართველოს ბრიუსელიდან და სტრასბურიდან მართავს. ვგულისხმობ კუბილიუსს.

იმ მთავრობის ინტერესებში, ბრიუსელიდან და სტრასბურიდან რომ მართავს საქართველოს, რურუას დადანაშაულება, საერთოდ, არ შედის. ამ პირობებში, უახლოეს წლებში, არ უნდა ველოდოთ თოიძის საქმის გამოძიებას და იმის გარკვევას, რურუა ამ საქმეში დამნაშავე არის თუ არა.

***– პრეზიდენტის შეწყალების აქტის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ნიკა მელიამ მოუწოდა ადამიანებს, სანამ დროა, გადავიდნენ „ისტორიის სწორ მხარეს“, ანუ მათ მხარეს.***

– მელია ისტორიის სწორ მხარეს ნამდვილად არ არის. პირიქით, ეს არის არასწორი მხარე, რომელიც დღეს ქვეყნის გარედან მართავს პროცესებს.

ძალიან ბევრ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს ძლიერთან ყოფნის განცდა და გადაწყვიტოს, მოდი, კუბილიუსის გუნდი ვიქნები და არ მჭირდება არც ბიძინა ივანიშვილი და არც მიხეილ სააკაშვილიო. საუბარია იმაზე, რომ მათ არასაქართველოს მოქალაქეებზე, არაქართული მენტალიტეტის ადამიანებზე აქვთ სწორება.

მელია მოუწოდებს ადამიანებს, რომ კუბილიუსის გუნდში იყვნენ და არა საქართველოს გუნდში, საქართველოს სიყვარულში. ამიტომ ის არ არის სწორი ძალა. მოვუწოდებ პოლიტიკურ ძალებს კონსოლიდაციისაკენ. უკვე გვქონდა შეხვედრა კონსერვატიულ, ქრისტიანულ და პატრიოტულ პოლიტიკურ ძალებთან.

მოვუწოდებ გავერთიანდეთ ჩემი პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“, კონსერვატორები, მწვანეები, სოციალ-დემოკრატები, მრეწველები (რომლებიც, ჯერჯერობით, ჩუმად არიან) და დავიცვათ საქართველოს ინტერესები.

კუბილიუსი ჩამოვიდეს, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა და ღიად მიიღოს მონაწილეობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. კუბილიუსი სადღაც ზის, საქართველოში გადასახადებს არ იხდის, ამ ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავალი არ შეაქვს და აქ პროცესებს მართავს, რაც მიუღებელია. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ასეთი ადამიანები არ უნდა დომინირებდნენ.

***– კუბილიუსის განცხადებაში იყო მუქარა, თუ უგულავა-ოქრუაშვილ-რურუას არ გაათავისუფლებთ, დახმარებას ველარ მიიღებთო. კუბილიუსს შეუძლია თქვას, რომ ევროპელი გადამხდელების ფულს გვაძლევენ და ამიტომ ჩარევა შეუძლია.***

– ამ ფულს ევროპა სესხად გვაძლევს. გრანტის სახით ჩვენთან ძალიან მწირი თანხა შემოდის. შეიძლება შემოვიდეს 1-2 მილიონი. დიდი ოდენობით თანხები დაბალპროცენტიანი სესხია, რომელსაც საქართველოს მოქალაქეებს გვასტუმრებინებენ, ანუ ჩვენი ფულია. ამ დროს ვიღაც კუბილიუსი ამით მანიპულირებს.

***– როგორც ჩანს, მელიას და მის თანამებრძოლებს მიაჩნიათ, რომ ისტორია ახლა მათ მხარეზეა და უკვე ხელმეორედ მათი ხელისუფლებაში მოსვლის დრო დადგა.***

– მათი ხელისუფლებაში მოსვლა სათუოა. თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლა ისტორიას არ ნიშნავს.

***– შეიძლება ფიქრობენ, რომ ისტორია ახლა მათ წისქვილზე ასხამს წყალს. დღევანდელობითაც ხომ იქმნება ისტორია.***

– ისტორიული სამართლიანობა სულ სხვაა. ჩემ მიერ ჩამოთვლილი პოლიტიკური ძალებიც ვართ იმ ვექტორზე, რომელიც მხარს უჭერს დასავლეთს და ევროპულ ღირებულებებს, ოღონდ ქართული ღირებულებების შენარჩუნებით. პირადად ჩემთვის და ჩემი პოლიტიკური მოძრაობისთვის ვაჟას კოსმოპოლიტიზმია ეტალონი და მისაბაძი და არა ნიკანორ მელიას პოლიტიკური შეხედულებები.

***– ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება დაიწყება?***

– არა. აწი იწყება ყველაფერი. ეს ადამიანის, მოქალაქის უფლებებსა და კანონზე გადაბიჯებით არ უნდა გაკეთებულიყო. პოლიტიკური თამაშითა და შერჩევითი მართლმსაჯულებით არ უნდა მომხდარიყო. ან აქამდე უნდა გაეთავისუფლებინათ, ან შემდგომ პერიოდში და არა კუბილიუსისა და მისი ძმების დაჟინებული მოთხოვნით.

ამიტომ, სალომე ზურაბიშვილს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გავუგებთ. რამდენიმე დღეში ჩვენ გვექნება შესაწყალებლების სრული სია მტკიცებულებებით, რომლებსაც უმსუბუქესი დანაშაულობები აქვთ ჩადენილი (უგულავას მსგავსად მრავალი მილიონი არ მიუთვისებიათ) და ვნახავთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პრეზიდენტი. ისინი ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებენ.

***– შეიწყალებს?***

– თუ სალომე ზურაბიშვილი ამ ადამიანებს არ შეიწყალებს, პრეზიდენტის გადადგომისა და იმპიჩმენტის მოწყობის მოთხოვნით, ჩვენ აქციებს დავიწყებთ.

***– შეიძლება სალომე ზურაბიშვილს უნდოდა ეთქვა, რომ ამ ნაბიჯით მან რევოლუციის გზა დახურა, რომლისკენ მოწოდებებიც ბოლო დროს კვლავ გაჩნდა.***

– არა მგონია. საქართველოში რევოლუცია ვერ მოხდება. რევოლუციას სხვა პირობები სჭირდება. უგულავას, ოქრუაშვილის, მელიასა და სააკაშვილის გამო რევოლუცია ვერ მოხდებოდა. შიში იმისა, რომ რაიმე სახის რევოლუცია შეიძლებოდა მომხდარიყო, არ არსებობდა. არ იყო ის რეალობა, რომ რევოლუცია მომხდარიყო. 5 თვე დარჩა არჩევნებამდე და არჩევნები ძალიან მარტივად ჩატარდებოდა. მაგას სჯობდა, კანონში ცვლილებები შეეტანათ.

სალომე ზურაბიშვილს უნდა, თავის გადაწყვეტილებას რაღაც მნიშვნელობა მისცეს, მაგრამ მნიშვნელოვანი ძალიან ვერ არის, რადგან ამით ქვეყანას მან რევოლუცია ვერ აარიდა.

# ოკუპირებულ აფხაზეთში შეზღუდვების სასწრაფოდ გაუქმებას მოითხოვენ

## ასლან ბჟანია: „მოსახლეობის მიმართ არსებულ ვალდებულებებს შევასრულებთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში საგანგებო მდგომარეობის გაუქმების მიუხედავად, კორონავირუსის გამო შემოღებული შეზღუდვების ნაწილი 1 ივნისამდე გააგრძელეს. შეზღუდვებს შორისაა რუსეთიდან ოკუპირებულ რესპუბლიკაში შესვლა, მასობრივი ღონისძიებების მოწყობა, ტურისტული და საექსკურსიო საქმიანობა, სასტუმროების ნომრების დაჯავშნა, ასევე საბავშვო ბაღებისა და სკოლების მუშაობა. რაც დრო გადის, მოსახლეობა სულ უფრო შეურიგებელი ხდება შეზღუდვების მიმართ.

აფხაზეთში ფსოუდან კვლავინდებურად თავისუფლად შედიან აფხაზეთის მოქალაქეები, იქ აკრედიტებული რუსი დიპლომატები და რუსეთის სამხედრო ბაზის სამხედრო მოსამსახურეები და უშიშროების სამსახურის მესაზღვრეები ოჯახებით, აგრეთვე გადამზიდავები.

15 მაისიდან საქმიანობის უფლება მიეცათ კვების ობიექტებს. აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი მოსალოდნელ შიმშილს ვარაუდობს და ეკონომიკის დამაზიანებელი შეზღუდვების სასწრაფოდ გაუქმებას მოითხოვს.

– თუ შეზღუდვები გაგრძელდა, თუ საზღვარი დროზე არ გაიხსნა, ის ადამიანები, რომლებსაც დანაზოგი არა აქვთ, იშიმშილებენ. კორონავირუსი კი არა, შიმშილი გვაშინებს. ჯობია, ეგ ვირუსი ზაფხულში მოვიხადოთ, უფრო იოლად გადავიტანთ, თორემ გალატაკებული ხალხის ბუნტი იქნება, – აცხადებს ერთი მოქალაქე.

– რა დროს კორონავირუსია? ზაფხულობით ნაწლავური ინფექციებია საშიში, გზებზე კი უამრავი ადამიანი იღუპება. ადამიანები ამისგან იხოცებიან. კორონავირუსით რეალური პრობლემებიდან ყურადღების გადატანას ცდილობენ, – ამბობს აფხაზეთში მცხოვრები ქალი.



რუს ტურისტებზე, ექსკურსანტებსა და ტურისტებზე დამოკიდებულ აფხაზეთში კონკურენციაც აღელვებთ. ბევრი შიშობს, რომ სანამ აფხაზეთი ვიზიტორებისთვის მისაწვდომი გახდება, დამსვენებლები ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიას მიაწყდებიან. ყირიმში შეზღუდვები 18 მაისიდან მოიხსნა.

დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია მოსახლეობას რუსული დახმარებით აიმედებს. მან ხალხს შეახსენა, რომ ცოტა ხნის წინ იგი ვიცეპრემიერებთან ქრისტინა ოზგანთან და ვლადიმერ დელბასთან ერთად მოსკოვში იმყოფებოდა.

– რუსი მეგობრები დაგვპირდნენ, რომ დაეხმარებიან აფხაზეთის ეკონომიკას, რომელიც კორონავირუსის პანდემიისაგან დაზარალდა. როგორი ვითარებაც არ უნდა შეიქმნას აფხაზეთში, სახელმწიფოს ვალდებულებები შესრულდება. ხელფასების გაცემა არ შეწყდება, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადების ამოღება შემცირებულია. თუ შეზღუდვები გაგრძელდება, გაუარესების ტენდენცია იქნება, მაგრამ ამან არავინ უნდა შეაშინოს, – განაცხადა ასლან ბჟანიამ.

მისივე ინფორმაციით, მთავრობა შეძლებისდაგვარად დახმარებას გაუწევს აგრარულ სფეროში მომუშავეებს. ანტიკრიზისული ზომები მოსახლეობას მალე ეცნობება.

ბჟანიას გამოსვლამ ხალხი მაინცდამაინც ვერ დააშოშმინა. ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გამოითქმის სკეპტიკური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, რომელიც აფხაზეთის ბიუჯეტის დიდ ნაწილს ისედაც ავსებდა. აფხაზეთში ესმით, რომ პანდემიამ და ნავთობის არნახულმა გაიაფებამ სპონსორი რუსეთიც დააზარალა.

– ამ სიტუაციაში საკუთარ თავს უნდა დაეყრდნო და არ უნდა იყურო სხვის ჯიბეში. რუსეთს თავისი საკუთარი თემა აქვს – ყირიმის დაფინანსება. რუსეთის მოქალაქეები შემორჩენილ ფულს დახარჯავენ თავიანთ სახელმწიფოში დასვენებისათვის, – ასე ეხმაურება ბჟანიას დაპირებებს ერთ-ერთი მოქალაქე.

ოკუპირებულ აფხაზეთში წარმოშობილი პრობლემები დაახლოებით იგივეა, რაც დანარჩენ საქართველოში, თუ არ ჩავთვლით დასავლეთიდან გამოყოფილ სოლიდურ ფინანსურ დახმარებას. დასავლეთის დახმარებაზე ოკუპირებულ რეგიონშიც ოცნებობენ. ოღონდ, სოხუმში თვლიან, რომ აფხაზეთს დახმარება უნდა გაეწიოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ახლანდელ პირველ პირებს ასლან ბჟანიასა და ალექსანდრე ანქვაბს ამა თემაზე კონკრეტული კომენტარები არ გაუკეთებიათ.

# პოლიციამ დის მიმართ ძალადობის ბრალდებით ძმა დააკავა




შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის ბრალდებით 1969 წელს დაბადებული ფ.გ. დუშეთში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მამაკაცმა დას, 1966 წელს დაბადებულ ბ.გ.-ს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ ძალადობას გულისხმობს.

# კოსტავას ქუჩაზე ლომბარდში მოკლული მამაკაცი იპოვეს

გუშინ, 18 მაისს, სამართალდამცავებმა თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, ერთ-ერთ ლომბარდში მოკლული მამაკაცი იპოვეს.

არსებული ინფორმაციით, ლომბარდი, სადაც მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს, თავად გარდაცვლილს ეკუთვნოდა.

როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები აცხადებენ, გასროლის ხმა არ გაუგიათ. მათი ინფორმაციით, ლომბარდში გარდაცვლილი მამაკაცის ახლობელი მივიდა და ცხედარი სწორედ მან აღმოაჩინა, რის შემდეგაც სამართალდამცველები გამოიძახეს.

ერთ-ერთი ვერსიით, მამაკაცმა თავი მოიკლა.

მომხდარზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

# ავარია იუსტიციის სახლთან

## 3 ადამიანი დაშავდა



გუშინ, 18 მაისს, თბილისში, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. ინტერპრესნიუსის ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სამი ადამიანი დაშავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით არის დაწყებული, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# უბისა-შორაპნის მონაკვეთის მშენებლობაზე დაშავებულ მუშას კიდურის ამპუტაცია დასჭირდა

საავტომობილო გზის უბისა-შორაპნის მონაკვეთის მშენებლობაზე დაშავებულ მუშას კიდურის ამპუტაცია დასჭირდა. სამუშაოებზე დასაქმებულს ტრაქტორმა გადაუარა.

მას პირველადი დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს, შემდეგ ზესტაფონში საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაშავებულს ქვედა კიდურის ამპუტაცია დასჭირდა.

მუშის დაშავების შესახებ ინფორმაცია საავტომობილო გზების დეპარტამენტმაც გაავრცელა. დაშავებული მუშის სამკურნალო და შემდგომი რეაბილიტაციის ხარჯებს სრულად დაფარავს ჩინური კომპანია.

კომპანიის წარმომადგენლები სამედიცინო პერსონალთან, დაშავებულთან და მის ოჯახთან მუდმივ კავშირზე იმყოფებიან. მომხდარი ფაქტის მიზეზების დასადგენად დაწყებულია გამოძიება.

# სასამართლომ გიორგი რურუა პატიმრობაში დატოვა



გუშინ, 18 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი რურუა პატიმრობაში დატოვა. მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე არ დააკმაყოფილა.

გიორგი რურუას ადვოკატები მისი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას მოითხოვდნენ, პროკურორი კი აცხადებდა, რომ გიორგი რურუასთვის აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლის ახალი გარემოება არ არსებობს.

მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა აღნიშნა, რომ ბრალდებულის მხრიდან მიმალვისა და მოწმეებზე ზემოქმედების რისკები არსებობს.

– 27 აპრილიდან გუშინდელ სასამართლო სხდომაზე რამე ახალი არსებითი გარემოება არ არის გამოვლენილი, რომ ბრალდებულ გიორგი რურუასთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება შეიცვალოს.

სასამართლო განმარტავს, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საფრთხეები. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ისევე, როგორც 27 აპრილის მდგომარეობით, სახეზე იყო 198-ე მუხლის მიზნების უზრუნველყოფა მხოლოდ პატიმრობის გარეშე დატოვებით და სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფდა აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.

ისეთი მიზნები, როგორებიცაა, რომ გამოირიცხება ბრალდებულის შესაძლო მიმალვა ან მის მიერ რამე ახალი დანაშაულის ჩადენა, ან საქმეში არსებული მოწმეებზე ზეგავლენის განხორციელება, დღეის მდგომარეობით კვლავ სახეზეა, – განაცხადა მოსამართლემ.

იგივე იყო პროკურორის პოზიციაც.

– რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების შეცვლას, რასაც დაცვის მხარე აყენებს, თავისთავად, ამ გარემოებას ჩვენ არ დავეთანხმებით, რადგან არავითარი ახალი გარემოება აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა არ არსებობს. რაც შეეხება სამხილებს, რაც აქამდე არსებობდა ბრალდების მხრიდან, ძალაშია, – განაცხადა პროკურორმა ვასილ სამხარაძემ.

კითხვას, შესაძლებელია თუ არა, რომ საერთაშორისო გამოხმაურების გამო გიორგი რურუა გათავისუფლდეს, პროკურორმა ასე უპასუხა:

– ბრალდების მხარე ხელმძღვანელობს იმ მტკიცებულებებით, რაც სისხლის სამართლის საქმეშია და აფასებს მის საფრთხეებს, რაც ბრალდებულის მხრიდან მომდინარეობს, როდესაც აღკვეთის ღონისძიებას ეხება საქმე. შესაბამისად, ჩვენ ამ გარემოებებით, ამ მოცემულობით ვხელმძღვანელობთ და აღკვეთის ღონისძიების გაუქმების რამე საფუძველს ვერ ვხედავთ. დაკითხულია ბრალდების მხარის მოწმეების მხოლოდ მესამედი, დასაკითხია მოწმეების კიდევ საკმაოდ დიდი რაოდენობა. შესაბამისად, არსებობს მტკიცებულებები, – განაცხადა ვასილ სამხარაძემ.

გუშინდელ სხდომაზე გიორგი რურუამ მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილს მიმართა.

– ბატონო მოსამართლე, თუ არ შევცდი, ბრალდების მხარემ, როდესაც მძიმე კატეგორიის დანაშაულზე გაამახვილა ყურადღება, როდესაც თქვა, რომ თურმე საბრძოლო მდგომარეობაში იყო იარაღი, მაგრამ მინდა, ხაზი გავუსვა, რომ არც ჩემი ანაბეჭდი არ ჰქონია, არც ჩემს შარვალში მეტალიზაციის კვალი არ იყო. მაშინ, როდესაც მძიმე დანაშაულის კატეგორია განხორციელდა ჯგუფურად კრიმინალური პოლიციის მხრიდან ჩემ მიმართ, ჩემდა სამწუხაროდ, ეს ორი ახალგაზრდა ბრალდებული წამოიყვანეს ზურგით, – განაცხადა რურუამ.

გიორგი რურუა სამართალდამცავებმა 18 ნოემბერს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# „ბესიკ ივანაშვილმა 11 წლის გოგონასთან გარყვნილი ქმედება ჩაიდინა“

## მას წინასწარი პატიმრობა მიესაჯა



დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ, გამოძიების მიერ შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე, 14 წლის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანთან გარყვნილი ქმედების ფაქტზე ბესიკ ივანაშვილს ბრალდება წარუდგინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის აპრილსა და მაისში ბესიკ ივანაშვილმა 11 წლის გოგონასთან გარყვნილი ქმედება ჩაიდინა.

სამართალდამცველებმა ივანაშვილი 2020 წლის 16 მაისს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (ძალადობის გარეშე სრულწლოვანის გარყვნილი ქმედება დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველთან) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 8-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა.

გუშინ, 18 მაისს, ბესიკ ივანაშვილს აღკვეთის ღონისძიებად ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

სასამართლო პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დისტანციურად გაიმართა.

ადვოკატ ავთანდილ ბუცხრიკიძის ინფორმაციით, ისინი არ ეთანხმებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას და სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ. მისი თქმით, დაცვის მხარემ 10.000-ლარიანი გირაოს შუამდგომლობა დააყენა, თუმცა სასამართლომ, პროკურატურის არგუმენტების გამო, შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

დაკავებული ბრალს არ აღიარებს. ადვოკატის განცხადებით, რადგან საქმე არასრულწლოვანს ეხება, გაუთქმელობაზე აქვს ხელი მოწერილი და დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

საქმეზე მომდევნო სასამართლო სხდომა 7 ივლისს გაიმართება.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 99 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 99 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 17 მაისის 21 საათიდან 18 მაისის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 98 მოქალაქე დააჯარიმა.

მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე 1 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.




# თერჯოლაში ცხელების ცენტრის პაციენტს ნარკოტიკული საშუალება აღმოაჩნდა



თერჯოლაში, ე.წ. ცხელების ცენტრში მოთავსებულ პირს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება აღმოაჩნდა. 36 წლის მამაკაცი გერმანიიდან 9 მაისს ჩამოფრინდა. ის თბილისში კარანტინში იმყოფებოდა, ფსიქიკური პრობლემების გამო კი თერჯოლის კლინიკაში გადაიყვანეს.

კლინიკა „იმერმედის“ დირექტორ დავით სარიშვილის თქმით, მამაკაცს კორონავირუსზე აუღეს ანალიზი, უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ კი პალატაში გადაიყვანეს, სადაც მისი შემოწმება მოხდა.

მისივე ინფორმაციით, მამაკაცს 38 აბი სუბოტექსი და მარიხუანა აღმოაჩნდა. გამოიძახეს პოლიცია და ახალგაზრდა მამაკაცი წინასწარი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

დირექტორის თქმით, როგორც მან სამართალდამცველებს განუცხადა, სარგებლობს ჩანაცვლებითი თერაპიის სპეცპროგრამით და მედიკამენტები სამკურნალოდ სჭირდებოდა.

მომხდარზე გამოძიება დაიწყო.

როგორც შსს-ში აცხადებენ, გამოძიება 260-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

# რომის პაპმა მარტის შემდეგ ვატიკანში პირველი მესა აღავლინა




რომის პაპმა ფრანცისკემ მარტის შემდეგ ვატიკანში, წმინდა პეტრეს ბაზილიკის სამლოცველოში მესა აღავლინა.

კორონავირუსის პანდემიის გამო ტაძარი 70 დღის განმავლობაში დახურული იყო. მესას 30 ადამიანი ესწრებოდა.

18 მაისიდან მსახურება იტალიის ტაძრებში აღდგა. მრევლს მოეთხოვება, ატაროს სახის დამცავი ნიღბები და შეინარჩუნოს დისტანცია.

# ესპანეთში შესვლას უცხოელები კიდევ 5 კვირა ვერ შეძლებენ




ესპანეთის ტრანსპორტის მინისტრის თქმით, ჯერ კიდევ კვირებია იქამდე, სანამ ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურებს დაუშვებენ.

– უცხოელებს ჩვენს ქვეყანაში შემოსვლის უფლებას ვერ მივცემთ მანამ, ვიდრე ჩვენს მოსახლეობასაც არ შეუძლია სახლის ჩვეულებრივად დატოვება, – აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, შეზღუდვა, სულ მცირე, კიდევ 5 კვირა გაგრძელდება.

# საფრანგეთში სკოლების გახსნის შემდეგ 70 მოსწავლე კოვიდ 19-ით დაინფიცირდა

საფრანგეთში, მას შემდეგ, რაც სწავლა აღდგა, ქვეყნის მასშტაბით კოვიდ 19 70 მოსწავლეს დაუდგინდა. ვირუსის გავრცელების გამო ქვეყანაში 18 მაისიდან რამდენიმე სკოლა კვლავ დაიხურა. ფაქტი დაადასტურა ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა. მისი თქმით, სკოლების ხელახლა დახურვა ნიშნავს, რომ „მთავრობა მკაცრად რეაგირებს".

მისივე თქმით, „სკოლაში არწასვლა უფრო ცუდი შედეგებით შეიძლება დასრულდეს".

11 მაისს საფრანგეთში სასწავლო დაწესებულებების ნაწილი ხელახლა გაიხსნა. დაახლოებით 1,4 მილიონი ბავშვი ქვეყნის მასშტაბით ბაღებსა და სკოლებში დაბრუნდა.



მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ხუთი წლის ბიჭმა ტყეში ნაპოვნი თოფით შემთხვევით ძმა მოკლა

აშშ-ში ხუთი წლის ბიჭმა ტყეში იპოვა თოფი, რომელიც დატენილი აღმოჩნდა. ბავშვს ის სათამაშო ეგონა და შემთხვევით ძმა მოკლა.

ამერიკის ჯორჯიის შტატში ორი ძმა სახლის უკანა ეზოში თამაშობდა, როდესაც გადაწყვიტეს, ტყეში წასულიყვნენ. იქ ერთ-ერთმა ვიღაცის მიერ გადაგდებული იარაღი იპოვა, სათამაშოდ მიიჩნია, ხუმრობით თავის 12 წლის ძმას დაუმიზნა და ჩახმახს თითი გამოჰკრა. თოფი დატენილი აღმოჩნდა და ტყვია ბიჭს პირდაპირ მკერდში მოხვდა.




დაჭრილი სასწრაფოდ ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის რამდენიმე საათის შემდეგ მიღებული ჭრილობისგან გარდაიცვალა. დაღუპულის ტანსაცმელი გამოსაკვლევად კრიმინალისტებს გადაეცათ.

ადგილობრივი პოლიცია ვარაუდობს, რომ იარაღი, შესაძლოა, ეკუთვნოდა მამაკაცების ჯგუფს, რომლებიც საბედისწერო გასროლამდე რამდენიმე საათით ადრე იმ რაიონში საეჭვოდ იქცეოდნენ, შემდეგ პოლიციელების დანახვაზე გაიქცნენ და უცნობი მიმართულებით გაუჩინარდნენ. ამის შემდეგ ადგილის დათვალიერებისას სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს ჩანთა უცნობი ნივთიერებით, სავარაუდოდ, ფსიქოტროპული მოქმედების.

მიმდინარეობს თოფის ადგილზე მიტოვებაში ეჭვმიტანილების ძებნა.

– ჩვენ მანამდე არ ვაპირებთ ძებნის შეწყვეტას, სანამ ყველა დამნაშავეს პასუხს არ ვაგებინებთ, – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელმა.

# 54 წლის ყოფილი სუპერმოდელი ბიკინიში გამოეწყო

წარმოშობით ჩეხმა ამერიკელმა ყოფილმა სუპერმოდელმა, მსახიობმა და მწერალმა პაულინა პორიზკოვამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის ბიკინიში გამოწყობილია გადაღებული.

ფოტოსურათზე 54 წლის პორიზკოვა ოკეანის ფონზე მოძრაობაშია აღბეჭდილი სიმინდის კუნძულებზე დასვენების დროს. მას აცვია ოქროსფერი საცურაო კოსტიუმი.

– წინ მივრბივარ, თუმცა, ამავე დროს, უკან ვიყურები. და რა გრძნობები გიპყრობთ თქვენ, როდესაც საკუთარ ძველ ფოტოსურათებს უყურებთ? – დაწერა კომენტარში ყოფილმა სუპერმოდელმა.

მოდელის თაყვანისმცემლებმა საქებარი სიტყვები არ დაიშურეს მისი ფიგურის მისამართით და დაინტერესდნენ, როგორ ახერხებს ასეთი ფორმის შენარჩუნებას.

– გთხოვთ, გაგვიმხილეთ საკუთარი ფიგურის საიდუმლოება. ძალიან მჭირდება მოტივაცია, თორემ, ვზივარ სახლში და მხოლოდ ყველიან გახუხულ პურზე ვფიქრობ, – დაწერა საკუთარ კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.



– ჩვეულებრივ რომელ ფიზიკურ ვარჯიშებს ასრულებთ და რით იკვებებით? ჩვენ დაახლოებით ერთი ასაკის ვართ და საკუთარი სხეულის წესრიგში მოყვანას ვცდილობ, – დაინტერესდა მეორე თაყვანისმცემელი.

– უბრალოდ, ბრწყინვალე ფიგურა გაქვთ! – აღფრთოვანება ვერ დამალა მესამემ.

# პანტომიმის თეატრს მიწის ნაკვეთი გადაეცა

შალიკაშვილის პანტომიმის თეატრმა ისტორიული ხელშეკრულება გააფორმა. 55 წლის იუბილეზე თეატრს გადაეცა მიწის ნაკვეთი, სადაც თეატრი აშენდება.

ამირან შალიკაშვილი უმცროსი, პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

– 13 მაისს თეატრი რომ გახდა 55 წლის, იმ დღეს გაფორმდა ისტორიული ხელშეკრულება – თეატრს გადაეცა მიწის ნაკვეთი, სადაც თეატრი აშენდება განუსაზღვრელი ვადით, უვადოდ!

ეს სიმბოლურიც იყო რომ 55 წლის იუბილეზე ასე მოხდა: მამაჩემი მეუბნებოდა, კალაძე თეატრს გადაარჩენსო და ასეც მოხდა!

ეს განცხადება ჩვენი თეატრის გვერდზე არ იწერება მარტო იმის გამო, რომ დღეს შალიკაშვილის პანტომიმის სახელმწიფო თეატრი გადარჩა. ამას ვწერთ იმიტომ, რომ ამ ადამიანმა ბევრი რამ გააკეთა ქვეყნისთვის! თბილისისთვის საქმის კეთება, თან ხარისხიანად, მისი ცხოვრების ნაწილად იქცა! მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერთან ერთად, როდესაც თეატრზე ფიქრობ და თან აშენებ, ეს უკვე დასაფასებელია. საუკუნის საქმე კეთდება!

ამირან შალიკაშვილმა სიკვდილის წინ თქვა, კახა კალაძე გადაარჩენს ჩემს თეატრსო. ის არასოდეს ცდებოდა ადამიანის ამოცნობაში და დღეს ეს ყველაფერი გამართლდა და დაიძრა. ჩვენს ქვეყანას ექნება საერთაშორისო პანტომიმისა და პლასტიკის ცენტრი და შალიკაშვილის თეატრი უმაღლესი სტანდარტების თანამედროვე შენობით!

საერთოდ, ჩვენი აზრით, სულ ცუდზე ლაპარაკი ჯობია ჩავანაცვლოთ კარგზე ლაპარაკით, დაუნახავები არ უნდა ვიყოთ. რაც მოხდა 9 წლის წინ პანტომიმის სახელმწიფო თეატრის ირგვლივ, ყველამ იცის და წლების განმავლობაში ვერავინ შეძლო ამის გამოსწორება.

თბილისის მერმა კახა კალაძემ მოისმინა ჩვენი აზრი და გვერდში დაგვიდგა! მადლობა ნდობისთვის და მადლობა ყველაფრისთვის, რაც დღეს კარგი ხდება ჩვენს ქალაქში. იმედი გვაქვს, ძალიან მალე ერთად სრულიად ახალი და თანამედროვე ამირან შალიკაშვილის სახელობის პროფესიული პანტომიმის სახელმწიფო თეატრის ლენტს გავჭრით.




პირველი აგური ჩვენი ახალი თეატრის ასაშენებლად უკვე გვაქვს! ეს აგური მიმების საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა გვაჩუქა და თავისი ხელმოწერაც დაგვიტოვა.

2015 წლიდან ჩვენ გვაქვს ლიცენზია, რომ ავაშენოთ საერთაშორისო პლასტიკის ცენტრი. ჩვენ ამას შევძლებთ.

# გუგლის კულტურულმა ინსტიტუტმა საქართველოს საგანგებო გამოფენა მიუძღვნა



მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მსოფლიოს უდიდესმა კულტურულმა გაერთიანებამ – გუგლის კულტურულმა ინსტიტუტმა – საკუთარ ონლაინპლატფორმაზე საქართველოსადმი მიძღვნილი საგანგებო გამოფენა ჩატვირთა.

**გიორგი კალანდია:**

– მუზეუმების საერთაშორისო დღე გუგლმა საქართველოს განსაკუთრებულად მიულოცა.

მსოფლიოს უდიდესმა კულტურულმა გაერთიანებამ – გუგლის კულტურულმა ინსტიტუტმა – მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საკუთარ ონლაინპლატფორმაზე საქართველოსადმი მიძღვნილი საგანგებო გამოფენა ჩატვირთა.

გუგლისათვის დამახასიათებელი სპეცეფექტების გამოყენებით მომზადებულ ონლაინგამოფენას „სამეფო საგანძურის დაბრუნება" ეწოდება და ეძღვნება ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზის უნიკალურ პორტრეტს.

ერთი ნამუშევრისადმი მიძღვნილი ასეთი მასშტაბური ონლაინგამოფენა კავკასიის რეგიონში გუგლმა პირველად მოამზადა. ამ თემაზე გუგლის სპეციალისტებთან ერთად ხელოვნების სასახლის თანამშრომლები რამდენიმე თვე მუშაობდნენ. გამოფენაზე მოყოლილია უნიკალური პორტრეტის თავგადასავალი, მისი შექმნისა და დაკარგვის ისტორია. საგანგებოდ აღნიშნულია, რომ პორტრეტი საქართველოს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ" დაუბრუნა.

ონლაინგამოფენის ფარგლებში დამთვალიერებელს საშუალება აქვს, შეიხედოს პორტრეტის შიგნითაც, ნახოს ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებით გადაღებული ფოტოები, სადაც კარგად მოჩანს პორტრეტის საუკუნოვანი წარსული, დაზიანებისა და რესტავრაციის კვალი.

ქართლ-კახეთის მეფის პორტრეტი მსოფლიოში სახელგანთქმული XVIII საუკუნის მხატვრის ალექსანდრე ანტროპოვის მიერაა შექმნილი და იგი ძალიან დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა. ნახატი ირანში 1819 წელს თეიმურაზის შვილიშვილს, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებულ ალექსანდრე ბატონიშვილს უნდა წაეღო, მისი სიკვდილის შემდეგ კი პორტრეტი ევროპაში გაიგზავნა და გარკვეული პერიოდი გერმანიის საიმპერატორო ოჯახის ერთ-ერთი წევრის პირად კოლექციაში ინახებოდა.

შედევრად აღიარებული ფერწერული ტილო 2018 წელს ფონდმა „ქართუმ" ლონდონის ერთ-ერთ აუქციონზე შეისყიდა და ხელოვნების სასახლეს – კულტურის ისტორიის მუზეუმს საჩუქრად გადასცა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ნიანგებმა დატბორილ სოფლებს შეუტიეს და ადამიანები დაასახიჩრეს



უგანდაში წყალდიდობისგან დაზარალებულ რაიონებში ადამიანებზე ნიანგების თავდასხმა გახშირდა.

ძლიერი წვიმების შედეგად აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტბა, ალბერტი, რომელიც უგანდისა და კონგოს საზღვარზე მდებარეობს, ნაპირებიდან გადმოვიდა. წყალი სახლებს მჭიდროდ მიუახლოვდა, ხოლო მის კვალდაკვალ სოფლებში ტბაში ბინადარი ნიანგები გამოჩნდნენ. ერთი კვირის განმავლობაში მტაცებელმა რეპტილიებმა ოთხი ადამიანი დაასახიჩრეს.

ადგილობრივი ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ უგანდის ველური ბუნების სახელმწიფო უწყება რეპტილიების დაჭერას დაიწყებდა, თუმცა ორგანიზაციამ დახმარებაზე უარი უთხრა.

– ხალხმა ტბაზე სიარულზე უარი უნდა თქვას, – განაცხადა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ბაშირ ჰანგიმ, – ის ნიანგების საბინადრო ადგილია.

დატბორილი სოფლების მცხოვრებლების მტკიცებით კი მათ ტბის წყალი სჭირდებათ, ვინაიდან წყალგაყვანილობით ვერ სარგებლობენ იმის გამო, რომ ის ამოქმედებული არ არის და თანაც ფულის გადახდის საშუალებაც ყველას არ გააჩნია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს", რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

## მოდელმა სამსახური კორონავირუსით დაავადებულთა მოვლის გამო მიატოვა

ნიდერლანდელმა ეროტიკულმა მოდელმა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობაზე უარი იმის გამო თქვა, რომ მედდა გამხდარიყო და კორონავირუსით დაავადებულებისთვის მოევლო.

28 წლის სოფი ვოზმა მედდის კვალიფიკაცია სამ წელზე მეტი ხნის წინ მიიღო, მაგრამ გადაწყვიტა, საკუთარი სამედიცინო ამბიციები გვერდზე გადაედო და მთელ მსოფლიოში ემოგზაურა ეროტიკული მოდელის რანგში.



ის თავის ბოიფრენდთან, 34 წლის ბრიტანელ დიჯეისთან, პროდიუსერ და ფოტოგრაფ ჯონათან იეიტსთან ერთად მოგზაურობდა. ისინი საინტერესო ადგილებს ნახულობდნენ და იქ ფოტოსესიებს აწყობდნენ. ვოზი და იეიტსი წელს სამოგზაუროდ წასვლას გეგმავდნენ და ამისთვის მიკროავტობუსიც კი შეიძინეს, მაგრამ კორონავირუსის პანდემიის გამო იძულებული გახდნენ, მამაკაცი – ბრიტანეთში, საკუთარ ოჯახში, ხოლო მოდელი ნიდერლანდების ქალაქ როზენდალში დაბრუნებულიყვნენ.

ნიდერლანდებში ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ყოფილი თანამშრომლების საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად. სოფიმაც გადაწყვიტა, ბედი ეცადა და მალე მიიღო კიდეც შეტყობინება, რომ შეეძლო, მუშაობა დაეწყო ხანდაზმულთა ადგილობრივ სახლში.

– მე ცხოვრებას ისეთს ვიღებ, როგორიც არის. მოხარული ვარ, რომ შემიძლია, ჩემი მშობლების გვერდით ვიყო და ასევე მოხარული ვარ, რომ შემიძლია, მედდად ვიმუშაო. სანამ საზღვრები დაკეტილია, ვერ ვიმოგზაურებ და ფოტოსესიებს ვერ გავმართავ. ჩემი გეგმების სამომავლოდ გადადება მომიხდა, – განაცხადა ვოზმა და იქვე დაამატა, რომ მომავალში სამოდელო ბიზნესში დაბრუნებას აპირებს.

## ხელფასის ნაცვლად მიღებულმა კონიაკმა მამაკაცის შთამომავლობა უზრუნველყო



მამაკაცმა 140 წლის წინ La Maison Gautier-ს ქარხანაში ბოთლი კონიაკი ანაზღაურების სანაცვლოდ მიიღო და თავისი შთამომავლების ცხოვრება უზრუნველყო.

წინაპარი ოჯახისა, რომელმაც სოტბის აუქციონის სახლს გადასცა კონიაკის ბოთლი, 10 წელი მუშაობდა საფრანგეთის კონიაკის რეგიონში. 1880 წელს ვაზის ფილოქსერის გამო მთელ ევროპაში ყურძნის მოსავალი გაფუჭდა და ამიტომ თანამშრომლებს ხელფასის მაგივრად სპირტიანი სასმელები დაურიგეს.

ერთ-ერთი ბოთლი აღმოჩნდა ამ მასალის გმირის ოჯახში. ათწლეულების განმავლობაში ის ორიგინალური ეტიკეტის კომპლექტთან ერთად მარანში ინახებოდა და 140 წლის შემდეგ ოჯახმა გადაწყვიტა, მისი ამჟამინდელი ღირებულება დაედგინა.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კონიაკი 1762 წლითაა დათარიღებული და Gautier Cognac-ის გადარჩენილი სამი ბოთლიდან ერთ-ერთს წარმოადგენს. დანარჩენი ორი ნიუ იორკის აუქციონზე 2014 წელს 58 ათას დოლარად გაიყიდა.

აღნიშნულ ბოთლს ასევე გამოიტანენ აუქციონზე, რომლის შედეგის თანახმად, ოჯახი მინიმუმ 1,3 მილიონ დოლარს მიიღებს.

## მამაკაცმა პოლიციელი გადაარჩინა და მილიონერი გახდა

ინგლისის ესექსის საგრაფოს ქალაქ მოლდონის მკვიდრმა პოლიციელი, რომელსაც ავტობუსში გულის შეტევა დაემართა, დაღუპვას გადაარჩინა, რამდენიმე კვირის შემდეგ კი შეიტყო, რომ ლატარიაში მსხვილი მოგების მფლობელი გახდა.

33 წლის ენტონი კენტი ინჟინრად მუშაობს საწარმოში, რომელიც




ცენტრალურ ლონდონში მდებარე საავადმყოფოებსა და თავშესაფრებში წყლის სისუფთავეზეა პასუხისმგებელი. აპრილის ერთ საღამოს ენტონი ავტობუსით სახლში მიემგზავრებოდა. მოულოდნელად მის მუხლებზე დაეცა პოლიციელი, რომელსაც გულის შეტევა დაემართა.

კენტმა მაშინვე აღმოუჩინა დახმარება პოლიციელს. მან მძღოლს ავტობუსის გაჩერება სთხოვა და სამართალდამცველს ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა სამაშველო სამსახურის ოპერატორის მითითებების მიხედვით. მამაკაცს გამოადგა ის ცოდნა, რომელიც მან პირველადი სამედიცინო დახმარების კურსებზე მიიღო.

პოლიციელი საავადმყოფოში შვეულმფრენით გადაიყვანეს. მან ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ხუთი დღე გაატარა. კენტი მუდმივად უკავშირდებოდა მის მეუღლეს და ხილი და ყვავილები მიჰქონდა.

ამ შემთხვევიდან რამდენიმე კვირის შემდეგ გამართული ლატარიის გათამაშებაში პოლიციელის მხსნელმა მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო. მისი შეყვარებულის, 32 წლის კეტი სალივანის თქმით, თავიდან ეგონა, რომ 100 ათასი ფუნტი მოიგო, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბილეთი თავად გადაამოწმა, მიხვდა, რომ მოგება იმაზე გაცილებით მეტი იყო, ვიდრე თავად წყვილს წარმოედგინა.

მოგების დღეს კენტმა სამსახურიდან თავისუფალი დღე აიღო და სახლში დაბრუნდა მოგების საზეიმოდ აღსანიშნავად. მან მოგების შესახებ მაშინვე აცნობა მის მიერ გადარჩენილ პოლიციელსაც, რომელმაც უპასუხა, რომ „კარგ ადამიანს კარმაც კარგი აქვს“.

მამაკაცი სამსახურისთვის თავის დანებებას არ აპირებს, ვინაიდან უყვარს და ამაყობს იმით, რასაც აკეთებს. ის მხოლოდ შვებულების აღებას ფიქრობს, რათა თავისი ხუთი და რვა წლის გოგონები დისნეილენდში წაიყვანოს, მომავალში კი ახალ სახლში გადასვლა აქვს დაგეგმილი.

## შიშველი ახალშეუღლებულები მძარცველს გამოუდგნენ და შეაშინეს

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ კულუმ-ბიჩის მკვიდრი ახალშეუღლებულები დედიშობილები გამოეკიდნენ მძარცველს, რომელიც მათ სახლში შეიჭრა და მათი მანქანის გასაღები გაიტაცა.

შაბათს, 9 მაისს, ახალდაქორწინებული ჯიმ რაისი და სანდრა სკოტი საძინებელში იმყოფებოდნენ, როდესაც სამზარეულოდან უცნაური ხმაური შემოესმათ.

სკოტმა იფიქრა, რომ მათი ძაღლები ხმაურობდნენ და იმის სანახავად გავიდა, თუ რა ხდებოდა. ის შოკში ჩავარდა, როდესაც დაინახა, რომ მათი სახლიდან გარბოდა საკმაოდ მოზრდილი მამაკაცი, რომელსაც ხელში მათი მანქანის გასაღები ეჭირა.




ქალი საძინებლისკენ გაიქცა მეუღლის გასაფრთხილებლად. ამის შემდეგ შიშველი წყვილი ქუჩაში გამოვარდა, რათა მძარცველი შეჩერებინათ და მათი მანქანის წაყვანის საშუალება არ მიეცათ.

– კარი გავაღე და მძღოლის სავარძელში საკმაოდ მსხვილი ტანის მამაკაცი აღმოვაჩინე, – განაცხადა რაისმა. ახალშეუღლებულებმა მძარცველს ყვირილი დაუწყეს, რაზეც პასუხად მიიღეს, რომ ის მათ მანქანით ადგილამდე მიყვანას სთხოვდა. წყვილმა მისი თხოვნა უარყო და მანქანიდან გადმოაგდო.

– ვფიქრობ, ერთადერთი მიზეზი, რატომაც გადმოვიდა მანქანიდან, იყო ის, რომ მას შეეშინდა, ორი შიშველი ადამიანი რომ უყვიროდა, – განაცხადა სკოტმა.

მამაკაცმა განაცხადა, რომ მანქანის გასაღების გარდა არაფერი მოუპარავს და გაიქცა. ამ დროისთვის ხმაურზე მეზობლებმაც დაიწყეს თავმოყრა.

მომხდარის თაობაზე ახალშეუღლებულებმა პოლიციას აცნობეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## როგორ ითამაშეს ლივერპულმა და მანჩესტერმა გარიგებული მატჩი



ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ლივერპული და მანჩესტერი ერთმანეთის მოსისხლე მტრები არიან, თუმცა 105 წლის წინ, 1915 წელს, ლივერპულმა და მანჩესტერმა ერთმანეთში მოლაპარაკებული მატჩი გამართეს, რაც ისტორიაში შესულია, როგორც „პარასკევის სკანდალი“.

იმასაც ამბობენ, რომ ფეხბურთელებს ჰქონდათ ასეთი საქციელის უფლება, რადგან ომი ახლოვდებოდა. საუბარია პირველ მსოფლიო ომზე.

**მატჩის მიმდინარეობა**

მანჩესტერი და ლივერპული ერთმანეთს „ოლდ ტრაფორდზე“ ხვდებოდნენ. ეს მოხდა 1915 წლის დიდ პარასკევს, ინგლისის პირველი დივიზიონის 31-ე ტურში. მერსისაიდელები ცხრილის შუაში იმყოფებოდნენ, ხოლო მანჩესტერს მოგება სჭირდებოდა, რათა არ გავარდნილიყო.

ფეხბურთელებს კარგად ესმოდათ, რომ ომი კარს იყო მომდგარი და, შესაძლოა, სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთი გაურკვეველი ვადით გაჩერებულიყო. ამიტომ ბევრი ეძებდა საშუალებას, ფული „გამოემუშავებინა“, თუნდაც ეს არაკანონიერი გზით მომხდარიყო.

მოგვიანებით ლივერპულულმა გაზეთმა „დეილი პოსტმა“ დაწერა, ასეთი ცალკარა მატჩი არასდროს გვინახავსო.

შესვენებამდე მანჩესტერი 1:0-ს იგებდა. 48-ე წუთზე ლივერპულის კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც პატრიკ ოკონელმა ვერ გამოიყენა, მაგრამ არც სწყენია – პირიქით, გაიღიმა, რადგან იცოდა, რომ მანჩესტერი მაინც გაიტანდა. ასეც მოხდა – 75-ე წუთზე ჯორჯ ანდერსონმა დუბლი შეასრულა, რის შემდეგაც მანჩესტერმა ნამუსზე ხელი აიღო და ბურთის ცენტრში გორება დაიწყო. მათ არც გულშემატკივართა სტვენას მიაქციეს ყურადღება.

შედეგად, მანჩესტერი დივიზიონში დარჩა, ხოლო ლონდონის ჩელსი დაქვეითდა.

**ეჭვი**

მომდევნო 2 კვირის განმავლობაში რამდენიმე გაზეთი აყენებდა წინადადებას, რომ შედეგი ანულირებულიყო. გაგიკვირდებათ და ჯერ კიდევ 1915 წელს საბუქმეიკერო კანტორები იუნაიტედის 2:0 მოგებაზე ფსონს აღარ იღებდნენ, რადგან სწორედ ამ პოზიციაზე იყო დადებული დიდი თანხა. მეტიც, გაზეთებში გამოქვეყნდა, რომ ერთ-ერთი საბუქმეიკერო კომპანია დაასაჩუქრებდა ადამიანს, რომელიც ამ მოლაპარაკებული მატჩის მთავარ შემოქმედებს გამოავლენდა.

გამოძიება 1915 წლის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა, სანამ მატჩის მონაწილე ფეხბურთელებმა ინტერვიუების მიცემა არ დაიწყეს. 27 ნოემბერს მანჩესტერული მედია წერდა, რომ ფეხბურთელთა ჩვენებით, მატჩის მიმდინარეობა ნამდვილად შეთანხმებული იყო.

**ვერდიქტი**

1915 წლის 23 დეკემბერს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ განაჩენი გამოიტანა:

– დამტკიცებულია, რომ ფულის გარკვეული რაოდენობა ხელიდან ხელში გადადიოდა. გაკეთებული ფსონებით მოთამაშეებმა მოგება მიიღეს. რამდენიმეჯერ შევთავაზეთ ფეხბურთელებს, ეთქვათ სიმართლე, ვაფრთხილებდით მათ, რომ ფაქტების კონსტატაციით, საქმე გვქონდა შეთქმულებასთან. ფეხბურთელები კი თავიანთი საქციელით ცდილობდნენ, ჩრდილი მიეყენებინათ სტრუქტურის სიწმინდისა და სამართლიანობისთვის. ვალდებული ვართ, ასეთი საქციელი ვამხილოთ. სისუფთავე დაცული უნდა იყოს უდიდეს ფასადაც კი. ორივე კლუბისადმი ჩვენი სიმპათიების მიუხედავად, ვალდებული ვართ, დავსაჯოთ ორივე გუნდის ფეხბურთელები. სხვა ალტერნატივა არ გვაქვს.

დასჯილები აღმოჩნდნენ: ჯეკი შელდონი, ბობ პერსელი, ტომ მილერი და ტომას ფეირფული (ყველა ლივერპული); სენდი ტერნბული, არტურ უოლი და ინოკ უესტი (ყველა მანჩესტერი). მათ საფეხბურთო საქმიანობა ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე სამუდამოდ აეკრძალათ.

იყო ეჭვი, რომ გარიგებაში სხვა ფეხბურთელებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ, რადგან განაჩენი ძალიან მკაცრი იყო, ასოციაციამ დასაჯა მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებზეც უტყუარი მტკიცებულებები ჰქონდათ.

სამაგიეროდ, ასოციაციამ არ დასაჯა კლუბები, რადგან ჩათვალა, რომ დამნაშავენი მხოლოდ ფეხბურთელები იყვნენ.

მოგვიანებით შელდონმა, რომელიც ფეხბურთელებს შორის შუამავლად ითვლებოდა და პერსელმა დანაშაული აღიარეს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 2. ახალ ზელანდიაში გავრცელებული ფრინველი, რომელიც ვერ დაფრინავს; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან იღებენ წითელ საღებავს; 5. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ძვირფასბეწვიანი კურდღელი; 8. წვრილად დაჭრილი გამხმარი თამბაქოს ფოთლები; 9. უბანი ქუთაისში; 12. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 14. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული; 16. უძრავი ქონების დროებით დაქირავება.

**თარაზულად:** 1. ჰოლანდიური ლუდი; 6. ძუნწი, წუწურაქი ადამიანი; 7. ქონება, რომელსაც საპატარძლოს ატანდნენ მშობლები გათხოვებისას; 9. ფრანგი ტიფლო-პედაგოგი, უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი; 10. ლუდის გამონახარში, ალაოს დანალექი; 11. ქართული სანადიმო სიმღერა; 13. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 15. ლექციის, მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 17. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 18. მომღერალთა გუნდი; 19. გერმანელი მწერალი, დრამატურგი; 20. ზღუდე, დაბრკოლება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხილარი; 2. კარე; 3. შერმადინი; 4. დანტე; 5. ფისკალი; 8. ბატონი; 9. ალტიმეტრი; 12. სუძუკი; 14. მატისი; 16. ისანი.

**თარაზულად:** 1. ხვანჭკარა; 6. მეცენატი; 7. ლომბერი; 9. არემჯი; 10. მესა; 11. ლორნეტი; 13. ხომლი; 15. რუბიკი; 17. ვიკონტი; 18. კურაგა; 19. პრესტო; 20. გინიოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დოფინი; 2. ტილი; 3. ალგოლოგია; 4. ანეტო; 5. ხორშაკი; 8. გუთანი; 9. თითლიბაზი; 12. კრეოლი; 14. როსინი; 16. იუანი.

**თარაზულად:** 1. დეპორტივო; 6. ფლამინგო; 7. ფრეგატი; 9. თაგორი; 10. სოდა; 11. ბაგიათი; 13. ბერნი; 15. კრუიფი; 17. ლაკმუსი; 18. ყოჩები; 19. ავანსი; 20. სიმინდი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 მაისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2005

ევრო — 3.4594

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9040

100 რუსული რუბლი — 4.3481

## ამინდის პროგნოზი 19 მაისისთვის




## ალეკო ბერძენიშვილმა და სოფო ბათილაშვილმა დუეტი ჩაწერეს




მომღერლებმა ალეკო ბერძენიშვილმა და სოფო ბათილაშვილმა დუეტი ჩაწერეს. იდეა ზაზა შენგელიას ეკუთვნის. სიმღერა „ბრავო რექორდსში“ ჩაიწერა, ვიდეოკლიპი კი დათო გერსამიამ გადაიღო. მუსიკალური კლიპი კოვიდ 19-ის პანდემიის მიმდინარეობისას მთელ მსოფლიოში ადამიანების გასამხნევებლად შეიქმნა. ალეკომ და სოფომ ცნობილი ბრიტანელი მუსიკოსების პიტერ გებრიელისა და ქეით ბუშის დუეტის „დონტ გივ აპ“ (არ დანებდე) ქავერ ვერსია შეასრულეს.

ვიდეორგოლში გამოყენებულია მსოფლიოს წამყვანი ფოტოგრაფების მიერ გადაღებული ისტორიული ფოტოსურათები, რომლებიც ემოციურად ასახავს მიმდინარე პანდემიასა და ადამიანთა დრამატულ მდგომარეობას დღევანდელ მსოფლიოში.

## ჯემალ ჭკუასელი 85 წლისაა



ლოტბარი ჯემალ ჭკუასელი იუბილარია. მას 85 წელი შეუსრულდა. მომღერალთან ერთად იუბილარია ანსამბლი „ერისიონიც“. მას დაარსებიდან 135 წელი შეუსრულდა.

ჯემალ ჭკუასელი წლების განმავლობაში ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. მისი ხელმძღვანელობით „ერისიონმა“ მსოფლიო შემოიარა.

ჯემალ ჭკუასელმა, ,,ერისიონთან“ ერთად, უდიდესი ამაგი დასდო ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას, მათ პოპულარიზაციასა და თანამედროვე მსოფლიოსათვის გაცნობას.

ფონდმა „ქართული გალობა“ ჯემალ ჭკუასელი დააჯილდოვა ნომინაციაში ღვაწლმოსილი ლოტბარი, მოგვიანებით კი ფონდმა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან ერთად გამოსცა იუბილარი ლოტბარის მონოგრაფია.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, „ხელოვნების ქურუმი“ ჯემალ ჭკუასელი ბედნიერია იმით, რომ ქართულ კულტურას ემსახურება და, სამაგიეროდ, რიგითი ადამიანებისგან უამრავ სითბოსა და სიყვარულს გრძნობს.

## „სუხიშვილების“ ოქროს თაობის მოცეკვავე ნელი ხაჟომია გარდაიცვალა



ანსამბლ „სუხიშვილების“ ოქროს თაობის მოცეკვავე ნელი ხაჟომია გარდაიცვალა.

ინფორმაცია საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირმა გაავრცელა:

– საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ადმინისტრაცია და გამგეობა, კულტურისა და ხელოვნების განვითარების კავშირი არტ-ფოლკი, კულტურის ინსტიტუტი, ქორეოგრაფთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს „სუხიშვილების“ ანსამბლის ოქროს თაობის სოლისტისა და სახელოვანი მოცეკვავის, საქართველოს დამსახურებული არტისტის ნელი ხაჟომიას გარდაცვალების გამო...

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს. ვუსამძიმრებთ და თავუნაგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

## იუმორი

სასამართლოში განქორწინების საქმე განიხილება. მოსამართლე ცდილობს, რომ ცოლქმარს განქორწინება გადააფიქრებინოს. ქმარი:

– არა და მორჩა! მე აღარ შემიძლია ცხოვრება მასთან, რომელიც საძინებელში თხას ინახავს... ყარს იქაურობა...

– მოსამართლე:

– იქნებ უბრალოდ ფანჯარა გააღოთ?

– და მერე ჩემი ჩიტები გამიფრინდნენ???

•••

ღამით ტელეფონი რეკავს და მამაკაცი კითხულობს:

– ალო, ეს ტელეარხია?

– დიახ, რითი შეგვიძლია დაგეხმაროთ?

– გევედრებით, მორბენალი სტრიქონი გამორთეთ.

– რატომ?

– ჩემი ცოლი კორპორატიული წვეულებიდან დაბრუნდა... და ფიქრობს, რომ კარაოკეა!

•••

ქართველი ახალგაზრდა გერმანელ თანატოლს ეკითხება:

– ვინ არიან შენი მშობლები?

– რას გულისხმობ?

– აი, მაგალითად, დედაჩემს ლილი ჰქვია, მამაჩემს ანზორი. და შენ ვინ გაგაკეთეს? რა ჰქვიათ?

– ანა-მარია-ტერეზა და ჰანს-უვე-ვიქტორი.

–რა, ეს ორმა ვერ მოახერხა?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, თუ კაცი ტაქსით ძალიან ხშირად მგზავრობს, ნეტა ამას რა ეწოდება?

– ტაქსიკომანია, ალბათ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ტონი კროოსი: „ფედერერი ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენია“



მადრიდის რეალის ნახევარმცველმა ტონი კროოსმა თავისი აზრი გამოთქვა იმაზე, თუ ვინ არის ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენი.

კროოსი ფიქრობს, რომ ეს როჯერ ფედერერია. ის დარწმუნებულია, რომ ფედერერმა ჩოგბურთი და ზოგადად სპორტი სხვა დონეზე აიყვანა:

– როჯერი რამდენიმეჯერ ვნახე პირადად და ის შესანიშნავი ადამიანია. მან სპორტში არნახულ შედეგებს მიაღწია და, ვფიქრობ, ის ყველა დროის საუკეთესოა. ფედერერს მუდამ წარმატებებს ვუსურვებ. მინდა, რომ ის კიდევ დიდხანს იყოს სპორტში და ყველა გაგვახაროს.

## სტერლინგი: „ფეხბურთელები ფორმიდან ამოვარდნენ“



მანჩესტერ სიტის ფორვარდმა რაჰიმ სტერლინგმა განაცხადა, რომ სანამ პრემიერ ლიგა დაიწყება, მანამდე რამდენიმე კვირით ადრე ფეხბურთელებმა ვარჯიში უნდა განაახლონ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ფორმიდან ამოვარდებიან:

– ყველა ფეხბურთელი არ იქნება სათანადო კონდიციაში, ამიტომ, სანამ პრემიერ ლიგა განახლდება, მანამდე ვარჯიში უნდა დავიწყოთ და ფორმაში შევიდეთ. ეს აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფეხბურთელები, უბრალოდ, ვერ შეძლებენ თამაშს.

## ჩემპიონთა ლიგა აგვისტოს დასაწყისში განახლდება

უეფამ გადაწყვეტილება მიიღო იმის შესახებ, რომ ჩემპიონთა ლიგა აგვისტოს დასაწყისში განახლდეს, თუმცა ეს გადაწყვეტილება ჯერ ოფიციალურად დადასტურებული არ არის.

27 მაისს უეფა ვიდეოშეხვედრას გამართავს, სადაც ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება. თუ უეფამ ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად დაამტკიცა, მაშინ ჩემპიონთა ლიგა 7 აგვისტოს განახლდება და პირველი შეხვედრა, სავარაუდოდ, მანჩესტერ სიტისა და რეალის დაპირისპირება იქნება.

## კრიშტიანო რონალდუ: „ფეხბურთელები დაცული უნდა იყვნენ“




კრიშტიანო რონალდუმ, რომელიც ამჟამად მშობლიურ პორტუგალიაში იმყოფება, სეზონის განახლებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ფეხბურთელების უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ფეხბურთის თამაში:

– ძალიან მინდა, მოედანზე გავიდე და ვითამაშო, მაგრამ, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ეს სახიფათო არ არის. სხვა შემთხვევაში, ჯობია, სეზონი მოგვიანებით განახლდეს. ჯანმრთელობა ყველაზე მნიშვნელოვანია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## Victoria's Secret-ის მოდელი რეკლამაში წელს ზევით გაშიშვლდა



ამერიკელმა მოდელმა და Victoria's Secret-ის „ანგელოზმა“ კენდის სვეინპოლმა კომპანიის ბრენდის რეკლამაში წელს ზევით შიშველმა მიიღო მონაწილეობა. ფოტოსურათები ინსტაგრამში მარკის გვერდზე გამოქვეყნდა.

ერთ-ერთ ფოტოზე 31 წლის მოდელი წითელი ფერის მაღალწელიან ტრუსში პოზირებს, შიშველ მკერდზე კი ხელი აქვს აფარებული. სვეინპოლი ასევე აღბეჭდილია იმავე ფერის კაბა-კომბინეზონსა და გრძელმკლავებიან შავი ფერის აბრეშუმის ტოპში, რომელშიც მისი შიშველი სხეული იკვეთება.

ცნობილია, რომ კენდის სვეინპოლი Victoria's Secret-ის „ანგელოზი“ 2010 წელს გახდა, ხოლო 2018 წელს – ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელი, რომელიც საცვლებისა და საცურაო კოსტიუმების დემონსტრირებას ახდენს სოციალურ ქსელ ინსტაგრამში.

## კაიაკერი ზვიგენის თავდასხმას გადაურჩა

აშშ-ის მონტერეის ყურის სანაპიროსთან დიდმა თეთრმა ზვიგენმა რამდენიმე წრე დაარტყა კაიაკის გარშემო. ადამიანისა და დიდი მტაცებელი თევზის შეხვედრის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

აღნიშნული ვიდეო შაბათს ზღვის ბიოლოგ ჟანკარლო ტომაზის დრონიდან იქნა გადაღებული, რომელიც დიდი თეთრი ზვიგენების შესწავლითაა დაკავებული. კადრებში ჩანს, თუ როგორ ურტყამს წრეებს ზვიგენი კაიაკის გარშემო, თუმცა ნავის ქვეშ გაცურვას არ ცდილობს.

აღსანიშნავია, რომ იმ დღეს, როდესაც ვიდეო იქნა გადაღებული, დიდი თეთრი ზვიგენი აღნიშნული ადგილიდან რვა კილომეტრში თავს დაესხა 26 წლის სერფერს, რომლისთვისაც ეს ყოველივე ტრაგიკულად დასრულდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 19 მაისისთვის

**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად იზრდება. შესაფერისი დღეა მეგობრებთან შეხვედრისა და გართობისათვის. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. აქცენტი მხოლოდ მთავარზე გააკეთეთ. **ტყუპები** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება. **კირჩხიბი** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. გარეგნულად ოპტიმისტური ჩანხართ, მაგრამ ეს მხოლოდ შირმაა. **ლომი** – რომანტიკული გრძნობების გამოვლენისას იფრთხილეთ. შესაძლოა, საპირისპირო სქესმა იმედი გაგიცრუოთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. მცირე შეცდომების გამო გული არ გაიტეხოთ. **სასწორი** – ინტიმურ სფეროში სიტუაცია არასტაბილურია. მძიმე წუთებში დახმარებისთვის მეგობრებს ან ნათესავებს მიმართეთ. **ღრიანკალი** – თქვენს ნიჭს მოულოდნელად სრულიად ახალ საქმეში წარმოაჩენთ. დღეს მხოლოდ ჯანსაღი საკვები მიიღეთ.**მშვილდოსანი** – შემოთავაზებული საქმიანი წინადადება ხელსაყრელი იქნება. მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – დღის დევიზია სიდინჯე და თავშეკავება. ბევრი ლაპარაკით საქმეს გააფუჭებთ. **მერწყული** – დღეს რამდენიმე პრობლემა თავს ერთდროულად იჩენს, თუმცა თქვენი შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე მათ გადალახვაში დაგეხმარებათ. **თევზები** – სახიფათო დღეა. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ფინანსებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 2. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 3. ინდური მაგიდის სათამაშო, ჭადრაკის წინამორბედი; 4. კომბინაცია პოკერში; 5. სამხრეთ ამერიკის მთიანეთში ბინადარი დიდი მტაცებელი ფრინველი; 8. სასადილო-სავაჭრო ძველად; 9. ხაშურის ძველი სახელწოდება; 12. ქვის, ღორღის დამქუცმაცებელი მანქანა; 14. ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად:** 1. გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომლებიც შეიცავენ რაიმე სახის ცნობებს, ინფორმაციას; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 9. ზღვის ლაბისებრი ცხოველი; 10. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 13. საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში; 15. მდინარე ტოკიოში; 17. გადასახადებისგან განთავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ქართული ჟურნალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*